645
1970.

იანვარი
№ 1 1970 წ.

# საქართველოს ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანა ალექსანდრია — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მართალ სახეზე სულ ეწეროს კაიკაცობა

წელი გასული,
მართლაც შემწე
და მოამაგე,
თვალებში გვენთო
გაოცებად და სიამაყედ.
ამაღლდა მზემდე...
კოსმოსური სივრცე, როდესაც
კოსმონავტების
ვაჟკაცური ხმებით მოთესა.
მერე ალალად
დაგვილოცა კერა და ფუძე
და მიემატა ისტორიას
ნაოჭად შუბლზე.
ასობით ფიქრი
და ოცნება
წარსულად იქცა,
კიდევ ერთი წლით
მოგვიხუცდა მშობელი მიწა.
ახალი წელი!
კეთილ იყოს
მისი გაცნობა.
მართალ სახეზე
სულ ეწეროს კაიკაცობა.
საქართველოში რომ იტყვიან, —
იყოს წალმართი
წელი, რომელიც შემობრძანდა —
სამოცდაათი.
ლექსით,
რომანით
დაამძიმოს წიგნების თარო,
მუხის და ძელქვის
ფიცრებისგან აკვნები თალოს.
ააგოს მრავლად
სამეზობლო,
სამოყვრო ხიდი;
წაშალოს ზღვარი
სინამდვილის,
ლეგენდის,
მითის.
ქიშპობას,
ომს და კინკლაობას
მოუღოს ბოლო,
არ მოაწყუროს
კაცის სისხლი
გულხარბს და ბოროტს.
არ აუსრულოს
არც ერთ მომხვდურს
კვეხნა,
ქადილი,
მხოლოდ ცარცისფრად
აფრიალოს დედის მანდილი.
აძლიეროს და
აღორძინოს ჩვენი სამკვიდრო,
წამწამებს მხოლოდ
სიხარულის ცრემლი დაჰკიდოს.
ახალი წელი!
კეთილ იყოს
მისი გაცნობა,
მართალ სახეზე
სულ ეწეროს კაიკაცობა.

ტაბუ მეგურიშვილი



11.308
206

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი კაჭახიძე

# უხმოდ დავტოვეთ დარბაზი

დაღამდა, ცამ ვარსკვლავები გადმოგვაყარა უბით,
ხალხი მოვიდა, განათდა სოფლის პატარა კლუბი.
იანვრის სუსხი გოროში ჰირველულობდა გარეთ,
დარბაზში შემოსაჰრელად ეჰიდებოდა კარებს.
სცენა მზად იყო ექცია ზამთრის სიავეც ლხენად,
ფარდა გაიხსნა, გაცოცხლდა, უმალ აიდგა ენა.
აგვიყოლია, მოგვტაცა ერთად თვალი და ფიქრი,
გვატარა, გადაგვახედა ცხრა მთიდან ცხრა ზღვის იქით.

ის იყო ცეცხლად აინთო, უცებ დაეშვა ფარდა,
შევშფოთდით, სცენის დაცხრომა ფრთების დაკეცვას გავდა.
ამ დროს გაისმა:
— ბრმა სიკვდილს ბრმად შეუმართავს ხელი,
ლენინი გარდაცვლილაო, ქვეყნის მამა და მხსნელი,
თავი დავხარეთ მწუხარედ, ყველას დაგვება ენა,
უხმოდ დავტოვეთ დარბაზი, დამუნჯებული სცენა.

ცას ჩაქრობოდა ვარსკვლავნი, ჩაშავებოდა თვალი,
საავდროდ აშლილ სქელ ღრუბლებს გზა ჩაეხერგათ მთვარის.
გარინდულიყო მთა-ბარი, მძვინვარე სუსხით სავსე,
ფიქრში მყოფს თოვლის ფანტელი ცივად დამეცა თვალზე,
ფრთამსუბუქს ჩამოსაფრენად ველარ მიუსწრო ხელმა,
გადნა და წამწამს კანკალით ჩამოეკიდა ცრემლად.
იმ ღამეს ათჯერ ჩავთვლიმე, ათჯერ გამიკრთა ძილი,
წამოვდექ, ეზოს გავხედე, შუქი ეფინა დილის.
ქარს დაეშალა ღრუბლები, როგორც მდინარეს ტივი,
ცა შეფერილი შინდისფრად, ვხედავ, სადაროდ ღვივის,
ყური მივუგდე ორღობეს, მამლების გაბმულ ყივილს...
სიცოცხლის ძალა ქვეყანას უმსუბუქებდა ტკივილს,
მზე ამოვიდა, ამოჰყვა დიდი სამშობლოს ხხივი.

# ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის




1900 წლის 29 იანვარს ლენინს გადასახლების ვადა გაუვიდა და დასტოვა სოფელი შუშენსკოე.

ლენინს აკრძალული ჰქონდა ეცხოვრა დედაქალაქებში, სამრეწველო და საუნივერსიტეტო ცენტრებში. პეტერბურგთან სიახლოვისათვის მან საცხოვრებლად ფსკოვი აირჩია და 26 თებერვალს იგი უკვე ამ ქალაქში ჩავიდა.

ფსკოვში მარტის დამლევსა და აპრილის დამდეგს გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ლენინის მიერ დაწერილი მომავალი გაზეთის რედაქციის პროგრამული განცხადების პროექტი. ფსკოვში ლენინთან ჩამოდიოდნენ სოციალ-დემოკრატები, იღებდნენ მისგან რჩევა-დარიგებებს, მითითებებს საერთო-რუსული გაზეთის გამოსაცემად.

ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ლენინის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები ფსკოვში.

ფოტო ი. მაღალაშვილისა



ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი ქ. ფსკოვში.

# ლენინური ადგილები ქ. ფსკოვში



ვ. ი. ლენინმა ამ ბინაში ჩაატარა 1900 წლის აპრილში ფსკოველი პროგრესული ინტელიგენციის კრება.



სახლი მდინარე ფსკოვის ნაპირას, სადაც სოციალ-დემოკრატების თათბირზე ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიიღეს გადაწყვეტილება გაზეთ „ისკრის" შექმნის შესახებ.

# სტუმრად მეგობრებთან



ქ. მეინინგენის მუზეუმის შენობასთან

ჩემს წინ ფოტოსურათებია გაშლილი. მათზე აღბეჭდილია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების მრავალფეროვანი მომენტები. ბერლინი, დრეზდენი, ვაიმარი, ერფურტი, ზული, მეინინგენი, ობერჰოვი, ზონებერგი, ბუხენვალდი... და კიდევ რამდენი ქალაქი! რამდენი ადამიანი! რამდენი შეხვედრა!

ღრმა განცდებით დავცქერი ამ ფოტოსურათებს. თითოეული მათგანი, ჩვენს მიერ ათი დღის განმავლობაში განცდილის რაღაც ნაწილაკს რომ შეიცავს, განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან შინაარსს იძენს დღეს, ახალი ძალით აღიქმება.

ათი დღე! მოვლენების, შთაბეჭდილებებისა და შეხვედრების სისავსით ეს ათი დღე ათ თვეზე გრძელი გვეჩვენება. მრავალი მეგობარი შევიძინეთ, ბევრი რამ ვნახეთ და გავიგეთ, შინაგანად, სულიერად გავმდიდრდით. დაწყებული იმ წუთით, როცა ჩვენი მატარებელი ბერლინის ვაგზლის ბაქანზე ჩამოდგა და დამთავრებული წუთით, როცა შინ გამოსაფრენად აეროდრომზე გავედით, ჩვენი დელეგაციის ყოველი წევრი სტუმართმოყვარე მასპინძელთა დიდი ყურადღებით იყო გარემოსილი, გამუდმებით გრძნობდა მათი ძმური ხელების სითბოს, კეთილ თავაზიანობას, მათ სურვილს — გერმანიაში ჩვენი ყოფნის ყოველი დღე ყოფილიყო მშვენიერი.

მასპინძლებმა ამას მიაღწიეს. ყოველი დღე მართლაც მშვენიერი იყო ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. იდგა შესანიშნავი ამინდები, სავალ გზებს გვინათებდა მზე და ადამიანთა თბილი ღიმილი. და მე ჩემთვის ასე ვფიქრობდი: ორგანიზება შეიძლება შეხვედრების, სიტყვების, დღის რეჟიმის, ყვავილთა მირთმევის, მაგრამ არავის ძალუძს ადამიანის გულის, თვალების სითბოსა და კეთილი ღიმილის ორგანიზება. ჩვენ კი გრძნობათა ამ სიწრფელეს ყველგან ვხედავდით.

ნათელ მოგონებად დამრჩება პატარა გერმანული ქალაქი ზულე და მისი მშრომელი ადამიანები. ამ ქალაქში ერთ კვირას დაჰყო საქართველოს კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ: ძველი ბოლშევიკი დავით ლომაძე მეუღლით, პოეტები ხუტა ბერულავა და ივანე თარბა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, გერმანული ლიტერატურის სპეციალისტი ზურაბ ქარხალაშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, მუსიკათმცოდნე გულბათ თორაძე, უნივერსიტეტის მასწავლებელი ზურაბ აბაშიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენს ჯგუფს, რომელსაც პირობითად ზულეს დელეგაცია უწოდეს, ხელმძღვანელობდა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორი შოთა გაგოშიძე.

აქ, ზულეში და ზულეს ოლქში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში — ტიურინგიაში მდებარეობს, გავეცანით გერმანელი ხალხის ცხოვრებას, საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ როგორ შენდება ახალი სოციალისტური ქვეყანა. გავიგეთ, რას ფიქრობს, რით ცხოვრობს გერმანელი ხალხი. ზულეში ჩვენი ჯგუფის ყოველი წევრი შეხვდა პროფესიის მიხედვით თავის კოლეგას: შოთა გაგოშიძე გერმანელ ჟურნალისტებს ესტუმრა და მოხსენებაც წაიკითხა საბჭოთა ჟურნალისტიკის პრობლემებზე; პოეტები ხუტა ბერულავა და ივანე თარბა გერმანელ მწერლებს შეხვდნენ და უამბეს მათ თანამედროვე ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაზე; დავით ლომაძე ქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე გამოვიდა მოგონებით გერმანიაში თავისი მოღვაწეობისა და გერმანელ კომუნისტებთან კავშირის შესახებ; გ. თორაძეს შეხვედრა ჰქონდა მუსიკალურ საზოგადოებრიობასთან, მან ლექციაც წაიკითხა ჩვენი შემსრულებელ-ვოკალისტების კონცერტის წინ; ზ. ქარხალაშვილი იენში გაემგზავრა, შეხვდა თავის კოლეგებს — იენის უნივერსიტეტის პროფესორებს; ამ სტრიქონების ავტორმა მეინინგენის საქალაქო თეატრში წაიკითხა მოხსენება ქართული თეატრის განვითარების გზებზე.

ქართული კულტურის დეკადა დაემთხვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ოცი წლისთავს, ის-ის იყო დამთავრდა ზეიმის დღეები, მაგრამ მისი ნაკვალევი ჯერ კიდევ ყველგან ჩანდა. გერმანელმა მეგობრებმა გვითხრეს: ქართული კულტურის დეკადა ჩვენი საკუთარი დღესასწაულის სიმბოლიურ გაგრძელებად მოგვაჩნიაო. აქვე უნდა დავუმატო: ქართული კულტურის დღეები გერმანიაში მიმდინარეობდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52 წლისთავის დღეებში. ეს თარიღი ყველგან იდღესასწაულეს. 6 ნოემბერს დილით ზულეში, საბჭოთა მეომრების ძეგლთან, გაიმართა ქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია, ძეგლი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს. საზეიმო დუმილში ვიდექით ჩვენ თანამემამულეების — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავთან. ჰმუნეის, სიამაყის, მოწიწების წმინდა და მაღალი გრძნობა კვლავ განვიცადეთ, როცა ბერლინში, ტრეპტოვ-პარკში ვინახულეთ საბჭოთა მეომრების ცნობილი ძეგლი. ბევრი რამ წაგვიკითხავს ამ ძეგლის შესახებ, გვინახავს იგი ფოტოსურათებზე და კინოში, ბევრი ლეგენდა და ლექსი მოგვისმენია... თითქოს ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ სულ სხვაა, როცა საკუთარი თვალით ნახავ და განიცდი მის სიდიადეს, მასში შერწყმულ ვაჟკაცობასა და მწუხარებას, ტრაგიზმსა და ოპტიმიზმს, შეუპოვრობასა და ჰუმანიზმს. დაუვიწყარია ქანდაკება „დედა-სამშობლო" და ქანდაკება მჭმუნვარე მებრძოლისა, მემორიალური სასაფლაო და საფლავის ყორღანი, მასზე მავზოლეუმი და დიდებული ფიგურა ჯარისკაცისა, ხელში გოგონათი. ჯარისკაცს ახალ ცხოვრებასთან შესახვედრად მოჰყავს ბავშვი, რომელმაც ომის საშინელება განიცადა.

ვიყავით ავადმოსახსენებელ ბუხენვალდში. სიკვდილის ამ ბანაკის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ იმის გადმოცემა, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, ადამიანის ენას არ ძალუძს.

ბუხენვალდი ვაიმართან ახლოს მდებარეობს. როგორი პარადოქსია! ვაიმარში ცხოვრობდნენ და ჰქმნიდნენ გერმანელი ხალხის დიდი შვილები და დიდი ჰუმანისტები — გოეთე და შილერი, იქვე ახლოს კი ადამიანთა მოსპობისა და განადგურების ბანაკი!

პატარა წიგნაკ-ბუკლეტში, რომელიც ბუხენვალდში გვისახსოვრეს, შემთხვევით როდია დაბეჭდილი შემაშფოთებელი გაფრთხილება: „ვაიმარიდან მოსულო ადამიანებო, არასოდეს არ დაივიწყოთ ის, რაც აქ მოხდა!" 1937 წლიდან 1945 წლამდე 238.980 პატიმარი იტანჯებოდა ბუხენვალდის ბანაკის საწამებლებში, მათ შორის იყვნენ ბავშვებიც. 56.545 კაცი დახოცეს, მათ შორის — გერმანიის კომუნისტების ბელადი ერნსტ ტელმანი. ჩვენ დიდხანს ვიდექით კედელთან, სადაც ტელმანი დახვრიტეს. დავით ლომაძემ, ვინც პირადად იცნობდა ტელმანს და მასთან ერთად უმუშავნია, მუხლი მოიყარა ამ წმიდა კედელთან.

დეკადაზე საქართველოს კულტურა მთელი თავისი ბრწყინვალებით წარსდგა. ჩვენმა ვოკალისტებმა, ინსტრუმენტალისტებმა, მოცეკვავეებმა, პიანისტებმა, მხატვრებმა მოხიბლეს გერმანელი ხალხი. უდიდესი წარმატებით ჩატარდა ზულეში ანდრია და ჯარჯი ბალანჩივაძეებისა და საესტრადო ანსამბლის — „ორერას" კონცერტი (რაღაც პირადი სიმპატიის გამო, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მომხიბვლელი ნანი ბრეგვაძე, თუმცა ეს ოდნავადაც არ ამცირებს ანსამბლის ყველა სხვა წევრის ბრწყინვალე წარმატებას). ნატიფ და ვირტუოზულ ოსტატებად წარსდგნენ გერმანელი მაყურებლის წინაშე მონაწილენი კამერული ორკესტრისა, რომელსაც მარინე იაშვილი და იგორ პოლიტკოვსკი ხელმძღვანელობენ; დიდი მოწონება დაიმსახურეს ჩვენმა შესანიშნავმა მომღერლებმა: ცისანა ტატიშვილმა, ნოდარ ანდღულაძემ, ირაკლი შუშანიამ. დემოკრატიული გერმანიის სხვა ქალაქებიდანაც აღწევდა ჩვენამდე ხმები სხვა ქართველი სოლისტების წარმატებათა შესახებ. გაზეთები აღფრთოვანებით წერდნენ მარინე მდივნის, ლიანა ისაკაძის, თამარ გაბარაშვილის, ელისო ვირსალაძის, თენგიზ ამირაჯიბის, ლამარა ჭყონიას, ნათელა ტუღუშის, ალექსანდრე ნიჟარაძის კონცერტებზე, მედეა ამირანაშვილის გამოსვლაზე ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში", ნიკო ფიროსმანიშვილის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის გამოფენაზე, ხოტბას ასხამდნენ საოცარ მომღერალს ზურაბ სოტკილავასა და სხვებს.

მე, როგორც თეატრმცოდნეს, ერთი რამ დამრჩა სანანებლად — დეკადაზე წარდგენილი არ იყო ქართული თეატრალურ-დრამატული ხელოვნება. სერგო ზაქარიაძე, რომლის პოპულარობამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნამდვილად არნახულ მასშტაბს მიაღწია (უნდა გენახათ ის შეხვედრა, რაც ს. ზაქარიაძეს ბერლინის ვაგზლის ბაქანზე მოუწყვეს, რომ დარწმუნებულიყავით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში), დელეგაციაში შედიოდა, როგორც კინოხელოვნების მოღვაწეთა წარმომადგენელი.

ჩვენ ვეწვიეთ ბევრ საწარმოს, ვინახუ-



ქ. ვაიმარი. გოეთესა და შილერის



ბუხენვალდი. აქ, ამ კედელთან დახვრიტეს ე. ტელმანი.

ეროვნული

ლეთ საერთო საცხოვრებლები, სკოლებ. დაუვიწყარი შეხვედრები გვქონდა გერმანელ მუშებთან. ქალაქ ცელა-მელისში დავესწარით ერთ-ერთი საწარმოს კოლექტივისათვის საპატიო სიგელის გადაცემას. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, რომლის დროს შ. გაგოშიძემ წარმოთქვა სიტყვა და მუშებს ჯილდო მიულოცა, გაიმართა მეგობრობის კონცერტი გერმანული და ქართული თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

ქალაქ ზონებერგში დავათვალიერეთ სათამაშოების მუზეუმი. გაგვაოცა ადამიანის გამომგონებლობამ, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა წარმოსახვის განვითარებას. განსაკუთრებით გაგვანცვიფრა 1860 წელს გამოცემულმა ე. წ. „მოლაპარაკე" წიგნმა. ამ წიგნის თითოეულ ნახატს, რომელზეც წარმოსახულია ესა თუ ის ცხოველი თუ ფრინველი, შეუძლია გამოსცეს ყოველი მათგანისათვის შესაფერისი ხმა.

ჩვენ ვეცნობოდით ძველსა და თანამედროვე გერმანულ კულტურას, გერმანელი ხალხის მიღწევებს, ვათვალიერებდით ღირსშესანიშნავ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია გოეთეს, შილერის, ლისტის და გერმანელი ხალხის სხვა დიდ შვილთა სახელებთან.

ბერლინის თეატრალურმა წრეებმა სერგო ზაქარიაძე და მე გამოფენაზე მიგვიწვიეს. გამოფენა ასახავდა გერმანული თეატრის მდიდარ ცხოვრებას. აქ, სხვათაშორის, წარმოდგენილი იყო დედილო კურაჟის ცნობილი საზიდარი ბრეხტის თეატრის სპექტაკლიდან — „დედილო კურაჟი და მისი შვილები".

ბერტოლდ ბრეხტის თეატრში — „ბერლინერ ანსამბლში" დავესწარით ერთ სპექტაკლს, გავიცანით შესანიშნავი მსახიობი ელენე ვაიგელი, ცოლი და მეგობარი ბრეხტისა, ამჟამად „ბერლინერ ანსამბლის" ხელმძღვანელი. ჩვენთან საუბარში მან გამოთქვა დიდი სურვილი თავისი თეატრით ჩამოვიდეს საქართველოში, ახლოს გაეცნოს ჩვენს რესპუბლიკას, მის თეატრალურ ცხოვრებას. ელენე ვაიგელმა სახელგანთქმულ ქართველ მსახიობებს — ვერიკო ანჯაფარიძესა და სერგო ზაქარიაძეს ნიშნად დიდი პატივისცემისა, აჩუქა ბერტოლდ ბრეხტის სამახსოვრო მედალი.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა დრამატურგის ევგენი შვარცის პიესის — „დრაკონის" დადგმამ გერმანულ თეატრში. შვარცის პიესა მიმართულია ტირანიის წინააღმდეგ. სპექტაკლი, რომელიც დადგმულია ბრეხტის მოწაფის ბენო ბესონის მიერ, განსაცვიფრებელია თავისი შეურიგებლობით ყოველგვარ ტირანიისა და დანაშაულებრივ სისხლისღვრასთან.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ბერლინის თეატრის „კომიშე ოპერის" სპექტაკლზე — ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპრებზე". სპექტაკლი დადგმულია თეატრის ხელმძღვანელის ვალტერ ფელზენშტეინის მიერ, იგი განცვიფრებს ორკესტრისა და ხმების შესანიშნავი ჟღერადობითა და შეთანხმებულობით, დადგმის მაღალი კულტურით.

მოკლე სტატიაში ყველაფერს ვერ იტყვი, ვერ დაასახელებ ყველა ადამიანს, რომელთაც შევხვდით და რომელთა შესახებ უაღრესად თბილი მოგონებები გამოგვყვა. ჩვენ მათ ბედნიერებასა და სიკეთეს ვუსურვებთ, და მოხარული ვიქნებით შევხვდეთ ქართულ მიწაზე მთელი ჩვენი ქართული სტუმართმოყვარეობით.

ზულეში ყოფნის ბოლო დღეს, როცა გამოსათხოვარ საუზმეს ვუსხედით, უცბად თარჯიმანს — მომხიბვლელ გერმანელ ქალიშვილს — იუტას გადავხედე, მის სახეს მთის ცინცხალი მზის სხივები დასთამაშებდა, და მე ვინატრე: „დაე, ასე იყოს მუდამ! დაე, ყოველთვის ანათებდეს მზის სხივები იუტასა და მისი თანატოლების სახეებს! დაე, ტიურინგიის ლურჯი ცა არასოდეს დაებუროს ღრუბლებს! დაე, მზე ყოველთვის აშუქებდეს სიმაღლეებისაკენ მიმავალ ადამიანთა გზებს, ათბობდეს მათ გულსა და ღიმილს!

ბედნიერი იყოს თქვენი გზა, მეგობრებო!

**ეთერ გუგუშვილი,**

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

# თათბირ-სემინარი

უკვე ტრადიციად იქცა ქალთა საბჭოების თავმჯდომარეთა შეხვედრა თათბირ-სემინარებზე, რომელსაც საქართველოს პროფსაბჭოს ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭო იწვევს. მას საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, აგრეთვე პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებთან და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან და უწყებებთან არსებული ქალთა საბჭოების თავმჯდომარეები ესწრებიან. ამჯერად თათბირ-სემინარის თემა იყო:

„რესპუბლიკის ქალთა ორგანიზაციების ამოცანები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით".

თათბირ-სემინარის მონაწილენი დაესწრნენ საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს გაფართოებულ სხდომასაც, რომელზეც მოხსენებით გამოვიდნენ ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ვასაძე, მდივანი ნ. კოპალეიშვილი, ფ. გეგეშიძე, ბ. ჩირგაძე, ო. საბაშვილი, თ. კრავჩინსკაია და სხვები.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საინტერესო მოხსენებები, რომლებიც ხელს შეუწყობს და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მათ მუშაობაში. იმის შესახებ, თუ რა დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ქალთა საბჭოებს მოზარდი თაობის აღზრდის, სკოლამდელ ორგანიზაციათა მუშაობის, მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, წარმოება-დაწესებულებებსა და მშენებლობებზე ქალთა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების, აგრეთვე ოჯახის განმტკიცების საქმეში ილაპარაკეს დ. კატუკიამ, დ. მარტენმა, მ. შერშიცკაიამ, გ. აბდუშელიშვილმა, ა. ტაბიძემ, ლ. არზიანმა. მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ აგრეთვე დოცენტი მ. ბურჭულაძე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ლ. ირემაძე და სხვები.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების ქალთა საბჭოების წარმომადგენლებმა. არჩეულ იქნა საქართველოს პროფსაბჭოს ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: მ. ბარათაშვილი, მ. ბურჭულაძე, ე. ლავთაძე, ე. ღლონტი, ნ. ჟვანია, ე. ჩოფიკაშვილი, ნ. ლალიძე, ნ. ჯავახიშვილი, ო. საბაშვილი, ვ. ებრალიძე და ნ. ვასაძე, დამტკიცდა ჟიურის შემადგენლობა კონკურსისათვის — „ჟურნალ „საქართველოს ქალის" მანდილი", რომელიც მიენიჭება ერთ-ერთ ქალთა საბჭოს მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის (ჟიურის თავმჯდომარე ნ. ჯავახიშვილი).

სხდომამ მოიწონა თელავისა და ადიგენის ქალთა საბჭოების ინიციატივა — შეფობა გაუწიონ დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფ ღონისძიებებს. ყოველწლიურად, 9 მაისისათვის შეჯამდება ამ ღონისძიებათა შედეგები და გამარჯვებული ქალთა საბჭო დაჯილდოვდება. დამტკიცდა ამ კონკურსის ჟიურის შემადგენლობაც (ჟიურის თავმჯდომარე ნ. ჟვანია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვჯერა შენი, ნანა!

როცა ამ წერილის კითხვას შეუდგებით, ალბათ ნანა ალექსანდრიას წარმატებების გამო სიამაყის გრძნობა შეგიპყრობთ. არც გასაკვირია! იგი ხომ მესამედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი!

ნანა ალექსანდრიამ უამრავი მოლოცვა მიიღო. დეპეშები ჯერ გორში, ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოუვიდა, მერე — თბილისში. მისი წარმატების სიხარული მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და ბორის სპასკიმაც გაიზიარეს.

სპასკიმ დეპეშა აფრინა. ნონა კი... მაგრამ ამის შესახებ სჯობს უფრო დაწვრილებით მოგითხროთ, გაგაგებინოთ სახელოვანი ქართველი მოჭადრაკე ქალიშვილების ერთმანეთისადმი დიდი სიყვარულის შესახებ.

ჩემპიონატის დროს ნონა გაფრინდაშვილი რამდენიმე დღით გორს ეწვია. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს ნანას თამაშს. ერთხელ მოწმე გავხდი: ნონა რჩევას აძლევდა ნანას, ბრძოლისთვის აგულიანებდა. მოხდა ისე, რომ დასკვნითი ტურის დროს ნონა გორში აღმოჩნდა გავლით. იგი გრიპით იყო ავად და მეგობრების ოჯახში ცოტახნით შეჩერდა. ნანას გამარჯვების ამბავი რომ შეიტყო, მილოცვა შეუთვალა. მაგრამ ნანა, როგორც კი ნონას ავადმყოფობის ამბავი უთხრეს, მის სანახავად გაეშურა. ჭადრაკის დედოფალი გაახარა მეგობრის ყურადღებამ.

— ყოჩაღ, ქართველო გოგონებო! — აღტაცებით ამბობდა მათზე ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი, როცა ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადის პერიპეტიებს მიამბობდა. მსოფლიოს ეს გუნდური პირველობა სექტემბერში ჩატარდა ლიუბლინში (პოლონეთი). სსრ კავშირის გუნდის ინტერესებს იცავდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ალა კუშნირი და ნანა ალექსანდრია.

ჩვენმა ქალიშვილებმა მსოფლიო ჩემპიონობა დაისაკუთრეს. მათ თვით ბრძოლის ველზე აჩვენეს მეგობრობისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი.

სიამაყისა და სიხარულის გრძნობა გიპყრობს, როცა გესმის ქართველი ასულების ვაჟკაცობის ამბავი. ძალაუნებურად წარსულს გადახედავ. საბჭოთა საქართველოს ქალები სპორტშიც თავდადებით აგრძელებენ წინაპართა საგმირო საქმეებს.

გორელებმა გულთბილად უმასპინძლეს ჩემპიონატის მონაწილეებს, დიდი ზრუნვა გამოიჩინეს მათ მიმართ. ქალაქ გორისა და გორის რაიონის თავკაცებმა შალვა ბერიანიძემ და რევაზ ბზიშვილმა 13 ოქტომბერს მეგობრულ წრეში ნანას დაბადების 20 წელი აღუნიშნეს. ეს იყო დაუვიწყარი საღამო.

— ჩემო ნანა, გვჯერა შენი გამარჯვებისა, თუმცა ტურნირმა მხოლოდ სტარტი აიღო! — მიმართა ალექსანდრიას პატივცემულმა რევაზმა.

ამ სიტყვებმა გამახსენა ვახტანგ ქარსელაძე, ნანას ნიჭის მიმგნები და გამღვივებელი. 1962 წელს მან მითხრა: „მყავს ერთი ციცქნა გოგონა, რომელსაც ნონას ტალანტი აქვს, მჯერა, რომ ისიც ალაპარაკებს ქვეყანას. ნონას მხარში ამოუდგება!“

მეც დავუჯერე. რატომ? იმიტომ, რომ 1954 წელს მან გულახდილად გამანდო, ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონი იქნებაო. მაშინ ნონა 13 წლისა იყო. დავეჭვდი, მაგრამ, როგორც იცით, ვახტანგის სიტყვები ახდა. ასევე გამართლდა მისივე ნათქვამი ნანას მისამართით.

ვახტანგ ქარსელაძე ვერ მოესწრო ნანას დიდ წარმატებებს — უკურნებელმა სენმა მოუსწრაფა სიცოცხლე. ნანას წრთვნას საერთაშორისო ოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ მოჰკიდა ხელი. სწორედ მასთან მეცადინეობით ნანა სამჯერ ავიდა საბჭოთა კავშირის ჭადრაკის დედოფლის ტახტზე. და განა მხოლოდ ეს არის მისი წარმატება? ნანამ პირველი ადგილები დაიკავა თბილისის (1968 წ.) და ბელგრადის (1969 წ.) ქალთა საერთაშორისო ტურნირებში, ოქროს მედალი დაისაკუთრა ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადაში.

ვინც ახლოს გაეცნობა ნანა ალექსანდრიას, არ შეიძლება არ მოიხიბლოს მისი უშუალობით, გულითადობით, განათლებით. ნანა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტის გიორგი ალექსანდრიას ერთადერთი ასულია, მაგრამ განებივრებული არ არის. მან იცის შრომის მადლი. სწორედ ბეჯითი მეცადინეობით მიაღწია ნანამ მწვერვალებს ჭადრაკში, დაუღალავი შრომით მოიპოვა საშუალო სკოლაში ოქროს მედალი, შრომას უმადლის იგი ინგლისური ენის ბრწყინვალე ცოდნას. ნანას პროფესორ-მასწავლებლები უნივერსიტეტში, სადაც იგი მეოთხე წელია ინგლისურ ენას



სამი ჩემპიონი: ნანა ალექსანდრია — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ნონა გაფრინდაშვილი — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ციური კობაიძე — საქართველოს ჩემპიონი.

ეუფლება, კმაყოფილებით აღნიშნავენ ნიჭიერი გოგონას მუყაითობას.

ნანა მებრძოლი ბუნების მოჭადრაკეა. მას იტაცებს კომბინაციური ჭიდილი. უნდა ყველაფერი წინასწარ იცოდეს. ნანა შემოქმედია. მისი თამაში ისეთივე მოხდენილი და ელეგანტურია, როგორც იგი თავად!

აი, წერილი წაიკითხეთ. იქნებ ახალი ბევრი ვერაფერი გითხარით, მაგრამ ალბათ კმაყოფილი დარჩებით ნანა ალექსანდრიასთან კიდევ ერთი შეხვედრით. ნანას დიდი მომავალი აქვს. იქნებ ასრულდეს ვახტანგ ქარსელაძის წინასწარმეტყველება: „მჯერა, დადგება დრო და მსოფლიო ჩემპიონობაში ნონას ნანა შეეცილება!“

თენგიზ გიორგაძე

**გოდერძი ჭეიშვილი**

# ჭორიკნები

მოთხრობა

**მხატვარი ბელა ბერძენიშვილი**

ოთახი პატარა იყო. სამი მაგიდა, წიგნების კარადა და რამდენიმე სკამი ძლივს ეტეოდა. ჭერზე მიმაგრებული ვენტილატორი რომ არა, ზაფხულის პაპანაქებაში სული შეგეხუთებოდათ... ფანჯარასთან მდგარი მაგიდა — ტელეფონით, არითმომეტრით, სანგარიშოთი და ქაღალდებით სავსე, უფროს რევიზორ-ბუღალტერს ეკუთვნოდა. შემოსასვლელიდან მარჯვნივ, პირველ მაგიდასთან თამაზი იჯდა, გვერდით კი — მარი. განყოფილებაში კიდევ სამი თანამშრომელი იყო, მაგრამ, ფართობის სიმცირის გამო, ისინი გვერდით ოთახში ისხდნენ.

მარი ერთი დღით ადრე დაბრუნდა მივლინებიდან. მოათავა საშენი მასალების ინვენტარიზაცია, რისთვისაც რაიონში იყო წასული, და იქ რაღა გააჩერებდა. თბილისში ჩამოსულს კი შინ როგორ დაუდგებოდა გული, როცა მივლინებაში გატარებულმა ერთმა კვირამ და უძილო ღამეებმა მოსვენება დაუკარგა. სამსახურში მისვლამდე ერთი სული ჰქონდა. წინათ, თუკი ვადაზე ადრე დაამთავრებდა საქმეს, მივლინების ფურცელს უთარიღოდ შეამოწმებინებდა და პირველივე შემხვედრი მატარებლით ან ავტობუსით შინ მოიჩქაროდა... შუადღემდე ლოგინში ნებივრობდა, მერე დედას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში, საღამოთი კი დაურეკავდა ლიზიკოს — ტექნიკუმელ ამხანაგს, ან შინ გაუვლიდა და ქალაქის გარეუბანში მიდიოდა რომელიმე ახალი კინოფილმის სანახავად.

ეს იყო წინათ. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა მარის ცხოვრებაში. ამან, რაღა თქმა უნდა, მის ფსიქიკაზეც იმოქმედა... მარის ახლა სხვა გუნება ჰქონდა, სხვა შეხედულებები. სახლში დარჩენა წარმოუდგენლადაც კი მიაჩნდა. საერთოდ, ამაზე არც კი უფიქრია. შინ მანქანით მივიდა. მას და დედამისს (ქმართან კარგახნის გაშორებული იყო) საბურთალოზე ჰქონდათ ერთი ოთახი. დედა შინ არ დაუხვდა, სამშობიარო სახლში მუშაობდა და მორიგეობიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო.

სწრაფად დაიბანა, წაიხემსა, მერე თეთრი ქვედა ტანი და ნეილონის ცისფერი, ნახვრეტებიანი ბლუზა ჩაიცვა. მისი აზრით, ეს ტანსაცმელი ყველაზე მეტად უხდებოდა. თმა დაივარცხნა და წითელი საყურეები გაიკეთა — უძილობით გაფერმკრთალებულ სახეს ვამომიცოცხლებსო. ჩემოდნიდან კამიუს მოთხრობების კრებული ამოიღო, ინვენტარიზაციის აქტთან ერთად ჩანთაში ჩადო და პროსპექტზე გამოვიდა. მაღაზიაში პური იყიდა. ტაქსი გააჩერა. უკან ვიღაცეები ისხდნენ და მძღოლის გვერდით დაჯდა. უნებურად მიიხედა. ახალგაზრდა ქალი და მელოტი მამაკაცი რაღაცაზე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ეცინებოდათ. მარიმ თავი ფანჯრისაკენ მიაბრუნა, მათთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

გული აჩქარებით უცემდა. ფიქრით უკვე სამსახურში იყო. როგორც ყველა ქალი, მარიც ეჭვიანი იყო, მაგრამ ახლა ისე მოუთმენლად მიისწრაფვოდა, ისე უნდოდა ჩქარა ენახა იგი, ეჭვიანობისათვის აღარ ეცალა...

ოთახში მის გარდა არავინ დახვდება. კარს მიხურავს და შეჩერდება...

— გამარჯობა, მარი! — თამაზი წამოდგება, ხელს ჩამოართმევს და ჩვეულებისამებრ მაგრად მოუჭერს. მარი გაუძლებს ამ ტკივილს, არც შეიმჩნევს, რადგან ეს ტკივილი კი არა, სხვა რაღაც იქნება მისთვის...

— როგორა ხარ? — ცისფერ თვალებში ჩახედავს, — რა ამბავია იქით?

— მშვიდობა... კამიუს მოთხრობების კრებული გიყიდე. გამახსენდა, როგორ წუხდი მის დაკარგვას. შემთხვევით წავაწყდი რაიონში.

— მართლა? რა კარგი გოგო ხარ, მარი! — წიგნს გამოართმევს და დახედავს.

— ჩავედი თუ არა, იმ დღესვე ვიყიდე.

— დიდი მადლობა.

— ოჰ, კარგი ერთი, რისთვის მიხდი მადლობას!

— გახსნებისათვის... ნახევარი არც კი მქონდა წაკითხული, როცა დამეკარგა... როგორ გიხდება ეს საყურე!

მარის სიამოვნებისაგან გაეღიმება, არაფერს იტყვის. მოკლე პაუზა.

— მე ერთი დღით ადრე ჩამოვედი, — ეტყვის მერე.

— რატომ?

„არა, არა, ამის თქმა სისულელეა!" — გაიფიქრა მარიმ და თავი ჯიუტად გააქნია. უეცრად მძღოლის მზერა იგრძნო. კაბა გაისწორა და მუხლებზე ჩანთა დაიდო.

ტაქსმა გმირთა მოედანი გადაჭრა და აღმართს აუყვა. რაც უფრო უახლოვდებოდა სამსახურს, მარის უფრო მეტად ეუფლებოდა მღელვარება. ღელავდა, რადგან თამაზს, თუ აქამდე თავს იკავებდა, ვერ ახერხებდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას და მხოლოდ ქათინაურებით კმაყოფილდებოდა, ახლა, ერთი კვირის უნახაობის შემდეგ, ხომ შეიძლებოდა ეთქვა — მომენატრეო, და მარის ეშინოდა, წონასწორობა არ დაეკარგა, არ გაეცა თავი... იქ კი, რაიონში სხვა იყო. ღამით, სასტუმროში ფანჯრებს გამოაღებდა, საწოლიდან ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გაჰყურებდა და რას არ ფიქრობდა, რას არ წარმოიდგენდა... თამაზი ხან სახეზე უსვამდა ხელებს ფრთხილად ალერსიანად, მისი ჩურჩულიც კი ესმოდა! რა ლამაზი გოგო ხარ, მარი!... ხან გაშმაგებით კოცნიდა, ხანაც ხელში აიტაცებდა და მაგრად, მაგრად მიიკრავდა მკერდზე, ისე მაგრად, მარის სული ეხუთებოდა... მაგრამ მაშინ შორს იყო მარი, თანაც მარტო, თავის თავთან მარტო და ყველაფერზე შეეძლო ეფიქრა...

ლიფტს აღარ დაელოდა. მეოთხე სართულამდე კიბე შეუსვენებლივ აირბინა. დერეფანში რომ შევიდა, მმართველის კაბინეტისაკენ მიმავალი უფროსი რევიზორ-ბუღალტერი დაინახა და გაუხარდა. მარის ყოველთვის უხაროდა, როცა უფროს რევიზორ-ბუღალტერს მმართველი გამოიძახებდა, ანდა შენობიდან გადიოდა. მაშინ ის და თამაზი მარტო რჩებოდნენ და თავისუფლად შეეძლოთ განყენებულ საკითხებზე ესაუბრათ.

თამაზი ოთახში არ დახვდა. მარი კარს აეკრა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა.

„კიდევ კარგი, რომ არ დამხვდა! ღმერთო ჩემო, ვინ იცის, რა სისულელეს ჩავიდენდი..."

ძლივს დაიოკა აფორიაქებული გრძნობა. თავის მაგიდასთან მივიდა. ჩანთიდან კამიუს მოთხრობების კრებული ამოიღო, უჯრაში შეინახა, ინვენტარიზაციის აქტი მაგიდაზე დადო და დაჯდა. კალენდრისთვის ერთი კვირაა ხელი არ უხლია, გადაფურცლა და დღევანდელ რიცხვთან შეჩერდა. მერე თამაზის მაგიდას მოავლო თვალი. თამაზი მაგიდაზე არაფერს სტოვებდა. ახლა კალენდარიც შეენახა.

თამაზი ინჟინერი იყო. ისეთ დაწესებულებაში, როგორიც სარემონტო-სამშენებლო ტრესტია, სარევიზიო და საბუღალტრო განყოფილებებისათვის აუცილებელია თითო მშენებელი ინჟინერი. ვიდრე თამაზი იმ ოთახში გადმოვიდოდა, სადაც მარი იჯდა, საკონსტრუქტორო განყოფილებაში მუშაობდა გამგის მოადგილედ.

„აი, ნამდვილი შტერი! — ფიქრობდა მარი, — აქ რამ გადმოი-

# მზის ფერები



სამშობლო

გვიან გაბედა შეეღო სამხატვრო აკადემიის კარები, თუმცა ბავშვობიდანვე გატაცებით ხატავდა...

ხუთი წელი იმუშავა ლია სვანიძემ მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. 1957 წლიდან კი მუშაობასთან ერთად თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყოფილებაზე გააგრძელა სწავლა. აკადემია 1963 წელს დაამთავრა.

წლების განმავლობაში მონაწილეობს იგი გამოფენებში, აფორმებს ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, მუშაობს სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის უფროს მხატვრად, განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ლია სვანიძე საინტერესო კომპოზიციისა და განწყობის სურათებს ქმნის. იგი კარგად ფლობს ხაზის პლასტიკურ ენას, აქვს საკუთარი ხელწერა. მისი ნამუშევრები გამოირჩევიან დინამიკით, სიცოცხლისადმი დიდი სიყვარულით და ადამიანისადმი ღრმა პატივისცემით.

1969 წლის აპრილში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, გაიხსნა მხატვარი ქალის სურათების პერსონალური გამოფენა, სადაც ასი სურათი იყო წარმოდგენილი (როგორც გრაფიკა, ასევე ფერწერა). მრავალფეროვანება, გამომსახველობითი ხერხების სხვადასხვაობა — აი, რით მოხიბლა დამთვალიერებელი მხატვრის ნამუშევრებმა. ლია სვანიძის წარმატება პრესამაც აღნიშნა.

მხატვარს არ აინტერესებს მაყურებლის გაოცება გაუგონარი, უცნაური თემატიკით, ან მანერით. მისი სურვილია ადამიანებს გაუზიაროს გულის სითბო, სიკეთე; იგი უპრეტენზიო, თავმდაბალი და გულწრფელია, როგორც ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი.

ერთი შეხედვით იოლი და უბრალოა შესასრულებლად მისი „ოქროს შემოდგომა", „სიჩუმე" ან „ხეები ღამით", მაგრამ რაოდენი ოსტატობა და ნიჭია ჩაქსოვილი თითოეულ მათგანში! მომღერლის მიერ იოლად აღებული სიბემოლი, ან მოცეკვავის ვირტუოზული, მსუბუქი ილეთი ბევრ გამოუცდელ ადამიანს ათქმევინებს: ასე ხომ მეც შემიძლიაო, მაგრამ თქმა ერთია და შესრულება კი...

აქვე შეიძლება გავიხსენოთ სვანიძის მიერ საწარმოო თემაზე შექმნილი სურათების სერიაც: „მარგანეცი ფრონტს", „ჭიათურა", „მზიანი კუთხე" და სხვა. ავტორს არსად არ ღალატობს პოეტური ალღო და ცეცხლი. ეს სურათები ლექსებივით იკითხებიან.

საინტერესოა მხატვრის მიერ სიყვარულის თემის ინტერპრეტაცია; ლირიზმი, სევდა, დიდი გრძნობა და სისპეტაკე გამოსჭვივის სურათებში — „ამბორი", „მე ვხედავ მზეს" და „განშორება".

სულ პატარაა გუაშით შესრულებული „სამეჯლისო ცეკვა", აქ მხატვარი ბევრ გადასვლებს ხედავს თეთრ ფერში: ფერები იისა, ვარდისა, ჩალისა ჰარმონიულად ერწყმიან ურთიერთს და ხიბლავენ თვალს.

ლია სვანიძის პალიტრა სავსეა სიკეთისა და მზის ფერებით.

რობერტ სტურუა.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი თბილისი



ჩაი



ოქროს შემოდგომა

კობულეთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანა! ეტყობა, მისთვის სულ ერთია, ასი მანეთი ექნება ხელფასი, თუ ასორმოცდაათი, თავისუფლად ყოფნა ურჩევნია... ალბათ, ჯიბესქელი მამა ჰყავს!..“

თამაზი, როგორც კი სამსახურის საქმეებს მორჩებოდა, უჯრიდან საქაღალდეს ამოიღებდა, რაღაცას წერდა, ან სიგარეტს აბოლებდა და საათობით იჯდა დაფიქრებული.

მარის მეორე შთაბეჭდილება: ცივია, უკარება, გულჩახვეული, თავისთვის ზის ნიჟარაში და, ალბათ, კმაყოფილია, საკონსტრუქტოროდანაც ამიტომ გამოიქცა. შენ თუ ჰკითხავ რაიმეს, თორემ თვითონ არ შეგაწუხებს. უცნაურია, არ მიყვარს ასეთი ხალხი!..

მაგრამ მარის თანდათან, მისდა შეუმჩნევლად, იზიდავდა ის, რაც არ უყვარდა, რაც არ მოსწონდა და მოსვენება დაჰკარგა...

მესამე შთაბეჭდილება:

— რაზე ფიქრობთ?

თამაზი გამოერკვა და თავი ასწია. მას ყოველთვის აღიზიანებდა ასეთი შეკითხვები, თავისი სამყაროდან იძულებითი გამოთიშვა.

— საინტერესოა?...

თამაზს გაეღიმა.

— ჩემი აზრით, საინტერესო ის არის, რასაც ვამბობთ. ფიქრი კი... ფიქრი ყველაფერზე შეიძლება, ეს ჩვენი საკუთრებაა.

— უკაცრავად. არ ვიცოდი, თუ შეკითხვა შეგაწუხებდათ.

— გეწყინათ? რაკი ასეა, გეტყვით. აბა, მომისმინეთ, — თამაზმა სიგარეტს მოუკიდა და დაიწყო: — არის ერთი კაცი, პატიოსანი, წუნარი. აქვს ოჯახი. ჰყავს მეუღლე, ვაჟიშვილი, რომელმაც ეს-ესაა, არცთუ ისე წარმატებით, დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლესში უნდა მოწყობა... კაცი, როგორც ვთქვით, პატიოსანი და წუნარია. მეუღლე კი, ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, პირიქით, მკაცრია, ასე ვთქვათ, გამოჯერილი ჰყავს ქმარი. და საითაც უნდა, იქით მიაბრუნებს. კაცს ეს არ მოსწონს, უნდა სხვანაირი იყოს, მაგრამ მისი სუსტი, დამყოლი ხასიათის გამო ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა... კაცს სხვა სურვილიც აქვს, უფრო სწორად, ოცნება, მისი ოცნებაა სამოგზაუროდ წასვლა, ქვეყნების ნახვა, დათვალიერება, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს... ერთ დღეს იგი დიდ თანხას მოიგებს, მნიშვნელობა არა აქვს, ლატარიის ბილეთით მოიგო, თუ სამპროცენტიანი ობლიგაციით. დიდი თანხა მოიგო და გახარებულია. მის ოცნებას ფრთები შეესხმება, მაგრამ წინააღმდეგობას აწყდება: ცოლი მოითხოვს, ის ფული სხვა მიზანს მოხმარდეს, მათი ვაჟიშვილი ხომ უმაღლესშია მოსაწყობი... რა უნდა ქნას კაცმა, თქვენ როგორ გგონიათ?

— სამოგზაუროდ უნდა წავიდეს... მაგრამ ეს მეტისმეტი ეგოისტობა იქნება.

— რატომ?

— შვილს დახმარება უნდა.

— ასეთ შემთხვევაში, საკუთარი თავის იმედით ყოფნა უფრო მიზანშეწონილია... რამდენი შემთხვევა ვიცი, გასულან გამოცდებზე და ბრწყინვალედ ჩაუბარებიათ... ისეთები კი, როგორიც იმ კაცის ვაჟია, უმაღლესის დამთავრების შემდეგაც მშობლების კისერზე არიან ჩამოკიდებულნი, დამოუკიდებლობას ჰკარგავენ და ხშირად, დახმარების იმედით შეპყრობილნი, ათასნაირ სისულელეს და დანაშაულსაც კი სჩადიან.

— მართალი ხართ! ის კაცი აუცილებლად უნდა წავიდეს სამოგზაუროდ.

— მეც ასე მგონია... კარგი გოგო ხარ, მარი!

მარიმ გაკვირვებით შეხედა.

— ვფიქრობ, ჩვენ ბევრი რამ გვექნება საერთო.

მარის არაფერი უთქვამს, გაწითლდა.

— ასე არ არის?

— არ ვიცი... შეიძლება. მოიცათ. თქვენ წერთ რაიმეს?

— ასე ვთქვათ.

მერე მარიმ გაიგო, რომ თამაზი საკმაოდ კარგ ნოველებსა და მინიატურებს წერდა, ხშირად აქვეყნებდა კიდეც და ერთი კარგა მოზრდილი კრებულიც ჰქონდა გამოცემული...



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„უკვე ათი ხდება. ეტყობა, სამსახურში ჯერ არ მოსულა, თორემ ეზოებს გამოაღებდა, — გაიფიქრა მარიმ, — შეიძლება სადმე წავიდა და დაკეტა, რაც ეს წიგნი დაკარგა, რა თქმა უნდა, ისწავლა ჭკუა... რა საშინლად ცხელა!“.

მარიმ ახლა შეამჩნია, რომ ვენტილატორი არ მუშაობდა. წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მოპირდაპირე შენობის სახურავს გახედა. სახურავზე მტრედები სხდებოდნენ. ახლა ერთიც არ ჩანდა. ეს რამდენიმე თვე იყო, მარის ყოველთვის მოჰქონდა მათთვის პური. ისე შეეჩვია, მოვალეობად გადაექცა, არასოდეს ავიწყდებოდა, მათზე მზრუნველობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა... „ნეტა სად არიან?“ მარის ძალიან უნდოდა, ჩქარა მოფრენილიყვნენ...

* * *

— რა ლამაზი მტრედებია! — თქვა ერთხელ თამაზმა, — საკონსტრუქტოროდან არ ჩანდნენ.

— საკონსტრუქტოროდან არც ცა ჩანს... გამოდის, კმაყოფილი ხარ ჩვენი ოთახით.

— რა თქმა უნდა. ცას ვუყურებ და ცისფერ მტრედებს.

— ძალიან გყვარებია მტრედები.

— შენ არ გიყვარს?

— როგორ არა.

— კარგია. არ შევმცდარვარ, მაშინ რომ გითხარი, ბევრი რამ გვექნება საერთო-მეთქი...

„მართალია, ბევრი რამ გვაქვს საერთო!... — ფიქრობდა შემდეგ მარი, — მაგრამ, რატომ არაფერს მეუბნება? რატომ არ მთხოვს, წავიდე მასთან ერთად კინოში, თეატრში? ან სახლამდე რატომ არ მაცილებს?“

* * *

დერეფნიდან მამაკაცის ფეხის ხმა მოესმა.

„ის არის!“

უცებ აფორიაქდა. გულმა ისევ აჩქარებით დაუწყო ცემა. უნებურად მაჯაზე წაივლო ხელი... ფეხის ხმა რომ მოახლოვდა, მიხვდა, სხვა იყო. თამაზი გაცილებით სწრაფად და მსუბუქად დადიოდა.

კაცმა გვერდით ოთახის კარი შეაღო და შევიდა. ოთახებშუა თხელი კედელი იყო და ოდნავ ხმამაღალ ლაპარაკსაც კი გარკვევით გაიგონებდით.

— როგორაა ჩვენი საქმეები? — კაცს ბოხი, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა.

„ლოთი იქნება ვიღაცაა!“ — გაუელვა მარის და უცებ გული დაწყდა, რადა მაინცდამაინც ეს ვიფიქრეო. „იქნებ ანგინა აქვს და ხმაზედაც ამან იმოქმედა“.

კადრების ინსპექტორ დოდო ტივაძესთან მომხდარი უსიამოვნება გაახსენდა და შეიშმუშნა... შესვენებისას დოდომ მაღალი, ქერათმიანი ახალგაზრდა გააცნო — სპორტის ოსტატია ველოსპორტშიო. ახალგაზრდამ ქალიშვილები კაფეში დაპატიჟა. ენაწყლიანი ბიჭი იყო, გაუთავებლად ქაქანებდა. ჯერ ფეხბურთზე ყვებოდა... ამბობდა, თუ ეს თამაში ჩვენებმა მოიგეს, ნაღდად ჩემპიონები ხდებიანო. მერე კი, რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე თავისი მესამე პრიზიორად გახდომის ამბავი მოუთხრო გოგონებს. თავდაუზოგავად ცდილობდა საკუთარი იუმორისტული შესაძლებლობებისა და ეპითეტების გამოყენებას, წარამარა იცინოდა... ერთი თავგასიებული მოწინააღმდეგე თურმე პირველად წინ გაუშვია და სწორედ მაშინ, როცა ეგონა, მესამე ადგილი უკვე ჯიბეში მაქვსო, ფინიშის ხაზთან გაუსწრია და ხახამშრალი დაუტოვებია... ახალგაზრდამ თავისი საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია ასე დაამთავრა: „კაცს თავის თავზე ზედმეტი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდესო...“ შესვენება მორჩა. დაიშალნენ... „როგორი ბიჭიაო“ — ჰკითხა დოდომ მარის.

— რა უშავს, მაგრამ ქათამივით რატომ იცინოდა?

— ქათამივით?! დოდო გაშრა, აიმრიზა, — ისიც არ იცი, ქათმები იცინიან თუ კაკანებენ!

— ჰო, მართლა, კაკანებენ! — გაეცინა მარის.

— შენთან ლაპარაკიც არა ღირს. ენაგრძელი ხარ და მეტი არაფერი!

* * *

..„როგორ შეიცვალა მარი! — ფიქრობდა თამაზი, — მახსოვს, წინათ ყველა ერიდებოდა მისთვის რაიმეს კითხვას, მასთან კამათს — მაკვარანცხულად არ ეპასუხნა და გულზე არ გამსკდარიყვნენ... სასიამოვნო მეტამორფოზაა — როგორი სათნო და ნაზი გახდა მარი... შენი დამსახურებაა, თამაზ! ცხადია, მარის უყვარხარ... მაგრამ შენ ხომ იმიტომ არ აქებდი, რომ ასე მომხდარიყო? უბრალოდ, საკუთარ განწყობილებას უფრთხილდებოდი. საკუთარ თავს, რომ ხელი არ შეეშალათ, რომ რაც შეიძლება, თავისუფლად და კარგად გეწერა... ახლა გახარებული და კმაყოფილი ხარ, ხუმრობაა? — ამ ექვს თვეში ორი საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა დაწერე. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, ერთხელ მაინც გიფიქრია, რას გრძნობდა მარი, რას განიცდიდა?.. ეს არ გაინტერესებდა, შენ გჭირდებოდა დრო და ის მოგცეს კიდეც, მარიმ მოგცა და მადლობელი ხარ მისი... მაგრამ, მწერალო თამაზ, ხვდები თუ არა, იმ მოთხრობებს რომ ანაცვალე ადამიანის ნერვები, გრძნობა და, შესაძლოა, ხვალინდელი დღეც? რას იზამს მარი, ფარდა რომ აიხდება და ყველაფერს დაინახავს?... — თამაზს გული მოეწურა, — ღმერთო ჩემო, ეს რა მომივიდა!...“

„რა თავშეკავებულია! — ფიქრობდა მარი, — რა თქმა უნდა, ხვდება, ასე უფრო მოიგებს ჩემს გულს. მომწონს ასეთი ხალხი... ამ გივიმ კი პირდაპირ გული გამიწყალა, დღე არ გავა, რომ არ დამირეკოს: მარი, კონცერტზე წავიდეთ! გინდა, ახალი ფილმი ვნახოთ? მარი, დღეს სოტკილავა მღერის „სოფლის პატიოსნებაში“, წამოხვალ? არა? მარი, მარი, მარი!..“

* * *

კარი გაიღო და ოთახში შრომისა და ხელფასის განყოფილების თანამშრომელი — ნათელამ შემოიხედა. მაღალი გოგო იყო, მსუქანი.

— ოჰ, მარი, როდის ჩამოხვედი?

— დღეს.

მარი ფანჯარას მოშორდა და შეეგება. ნათელამ აკოცა.

— რა გეჩქარებოდა, შენ ხომ ხუთშაბათამდე გქონდა მივლინება?

— ჰო, მაგრამ...

— მართლა, გაიგე?

— რა?

— რა და... — ნათელამ კარადის მინაში ჩაიხედა, — თამაზმა ცოლი შეირთო.

მარის სახე წამოუხურდა. ნათელა თმას ისწორებდა და არ შეუმჩნევია.

— ცოლიც შეირთო და აქედანაც გადავიდა.

— სად?

— რომელიღაც გამომცემლობაში.

— რატომ? — უნებურად წამოცდა მარის.

— ალბათ, შენ ველარ გაგიძლო, — გაეცინა ნათელას და სავსე თეძოებზე ხელი მოისვა.

მარი სასოწარკვეთილი მიაცქერდა.

— გეწყინა? გეხუმრე, გოგო! — ნათელა ისევ კარადის მინისკენ მიბრუნდა, — რა მაგრად გავსუქდი, არა? ხვალიდან ვარჯიში უნდა დავიწყო.

მარის არაფერი უთქვამს.

— ეჰ, წავედი, სამუშაო მაქვს.

ნათელამ კარი გამოაღო და შეჩერდა.

— შესვენებაზე კაფეში წამოხვალ?

— წამოვალ.

იმიტომ დაეთანხმა, რომ აღარაფერი ეკითხა, ჩქარა გასულიყო.

ნათელამ კარი გაიხურა.

მარი მოშვებული იყო. ძლივს მიაღწია ფანჯრამდე, რაფას დაეყრდნო.

ცისფერი მტრედები მოფრენილიყვნენ. ვიღაცას პურის ნამცეცები გადაეყარა და კენკავდნენ. სახურავს მზე დაჰყურებდა და აქა-იქ გაფანტული მინის ნატეხები გამომწვევად ბრწყინავდნენ... მარიმ თვალები დახუჭა და მტრედებიც გაქრნენ მისი მხედველობიდან. ალბათ, აღარც უნდოდა მათი დანახვა. მას ახლა ყველაფერს ტირილი ერჩია...

# მეჩაიე ქალებისათვის

რეიდის მასალებიდან

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულმა ქალთა შორის მუშაობის საბჭომ (თავმჯდომარე ნათელა ვასაძე) თავის გაფართოებულ სხდომაზე განიხილა მეჩაიე ქალთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები. სარეიდო ჯგუფებმა მოინახულეს ქობულეთის, მახარაძის და ზუგდიდის რაიონები. გაგაცნობთ ქობულეთის რაიონში, კერძოდ, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სოფელ გვარასა და ბობოყვათის კოლმეურნეობებში არსებულ მდგომარეობას.

* * *

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. იქ მომუშავეთა ნაშრომ-ნაღვაწმა გახადა იგი გამოჩინებული, განსაკუთრებით კი 480 ქალმა, რომლებიც დიდი გულისყურითა და მონდომებით მუშაობენ პლანტაციებში.

სოციალისტური შრომის გმირმა, ახლა უკვე პენსიონერმა თ. ცინცაძემ შარშან 4.600 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ს. ოქროიანმა — 8.800, ნ. ზოიძემ — 7.000. ზ. ბერიძემ — 6.100, ა. ნასარიძემ — 5.800 კილოგრამი და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

წარმატებების დასტურად ისიც კმარა, რომ მეურნეობას სამი ლენინის ორდენოსანი, 82 სიგელის მფლობელი და 283 კომუნისტური შრომის დამკვრელი ჰყავს, ხოლო 93 ქალი საპატიო წიგნში — მეურნეობის მატიანეშია შეტანილი.

ვიდრე ჩაის კრეფის სეზონი დადგება, მეურნეობაში თადარიგს იჭერენ, იმარაგებენ ყველაფერს, რაც კი საჭიროა წესრიგიანი მუშაობისათვის. დანიშნულ დროს მანქანებით გადაჰყავთ ქალები სამუშაო ადგილზე. იქ კი ხვდებათ საველე სასადილოები, ნახევარფაბრიკატები, მოძრავი აფთიაქები...

მეურნეობას აქვს ორი საბავშვო ბაღი და ორიც ბაგა 180 ბავშვისათვის, საშუალო სკოლები — ქართული და რუსული, 75-ადგილიანი საავადმყოფო, სამკერვალო სახელოსნო, კეთილმომსახურების კომბინატი, აბანო, პურის საცხობები, მაღაზიები. გასულ წელს კარგი საჩუქარი მიიღეს მეჩაიეთა შვილებმა — ქალთა კომიტეტის თაოსნობით გაიხსნა მუსიკალური სკოლა.

დოვლათიანი, ფუძემაგარი ოჯახები აქვთ აქაურ მეურნეებს. დამთავრდება თუ არა ჩაის კრეფის სეზონი, მათ უკვე შეუძლიათ იარონ მეურნეობის კულტურის სახლში, სადაც გახსნილია ჭრაკერვისა და ქსოვის კურსები, ნახონ კინოფილმები, მოუსმინონ მეურნეობის საესტრადო-ვოკალური ბრიგადის, მომღერალთა გუნდის გამოსვლებს, დაესწრონ საინტერესო ლექცია-მოხსენებებს, დასვენების საღამოებს, ისარგებლონ ბიბლიოთეკის 15-ათასიანი წიგნადი ფონდით, ისწავლონ სახალხო უნივერსიტეტში.

* * *

გვარას კოლმეურნეობა 1927 წელს ჩამოყალიბდა. მისი პირვანდელი წევრები ქალებიც იყვნენ: ხესრეთ ზოიძე, ხაჯერ მოწყობილი და სებირე გოლიაძე. მაშინ კოლმეურნეობას წესდება არ ჰქონდა და ნორმად ხელმარჯვე ქალის ხესრეთ ზოიძისეული ჩაის დღიური ნაკრეფი დაუწესებიათ — ასე ამბობს სოფელი. პირველი საკოლმეურნეო დროშა, რომელიც გვარელებს 1929 წელს თვითონვე შეუკერავთ, მუზეუმში ინახება.

დღეს ბევრი სახელოვანი ქალი ჰყავს კოლმეურნეობას — ორგზის ლენინის ორდენოსანი მერი გიორგაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ პაპუნაშვილი, ნაზი ხუტუნაშვილი და სხვები.

...გვარას კოლმეურნეობაში ყველაფერია საიმისოდ, რომ რიგიანად იშრომონ, დაისვენონ და გაერთონ. მხოლოდ ეს არის, რომ მუდმივმოქმედი საბავშვო ბაღი არა აქვთ, მაგრამ ამ საქმესაც მალე მოაგვარებენ.

* * *

ბობოყვათის კოლმეურნეობაში 539 ქალია, მათგან 6 სოციალისტური შრომის გმირი და 30 ორდენოსანი და მედალოსანია. სოფელი იმდენად გამოჩინებულია, რომ საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე 25 დელეგატი გააგზავნეს, მათ შორის იყო შრომის გმირი ქეთევან გოგიტიძე.

მდიდარი სოფელია ბობოყვათი. კარგად შრომობენ და ისვენებენ აქაურები. მაგრამ კეთილმოწყობის დარგში ზოგიერთი რამ მოსაგვარებელია — გასაყვანია სასმელი წყლის ახალი ტრასა და უნდა აშენდეს კეთილმომსახურების სახლი, ამ შენობაში საბავშვო ბაღიც იქნება.

* * *

რაიონის მეჩაიე ქალები კმაყოფილი არიან თავიანთი შრომისა და დასვენების პირობებით. მხოლოდ ყველას ერთი სურვილი აქვს — გაუმჯობესდეს სპეცტანსაცმელი. როგორც ქსოვილის, ისე შეკერვის მხრივ.

**თიურა ვაშაძე**







# ქართული შამპანური

შამპანური სუფრას ალამაზებს, მოაქვს მხიარულება და სიხარული.

ბედნიერების ზეიმისათვის თითო ჭიქა შამპანურიც კმარა.

შევავსოთ ჭიქები!

თითო ჭიქით დავლოცოთ ახალი წელი!

ეს თბილისის შამპანურის კომბინატის პროდუქციაა. აქედან დღეში 40.000 ბოთლი შამპანური გამოდის. საწარმოს კოლექტივმა სახელოვნად იშრომა და ღირსეულად დაამთავრა 1969 წელი, გეგმის ზევით გამოუშვა რამდენიმე ათასი ბოთლი შამპანური.

მოწინავეთა სახელი სამართლიანად დაიმკვიდრეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მეღვინე-ტექნოლოგმა ფ. კილაძემ, ბიოქიმიური საამქროს ჩამოსხმის განყოფილების ბრიგადირმა ნ. მუქერიამ, გაფორმება-შეფუთვის წუნმდებელმა გ. ბაჩანაშვილმა.

კომბინატი გასული წლის წარმატებებს ზეიმობს.

შევავსოთ ჭიქები!

გამარჯვებები გვემრავლოს ახალ წელს!





# შეხვედრა მკითხველებთან

ამას წინათ ქალაქ ზუგდიდში, ქალთა საბჭოს ინიციატივით, გაიმართა ჟურნალ ,,საქართველოს ქალის'' მკითხველთა შეხვედრა რედაქციის მუშაკებთან. შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა ქალაქ ზუგდიდის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ქუჩულორიამ. ჟურნალის მუშაობა მიმოიხილა ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდისტმა ციალა ქირიამ. სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი წინადადება წამოაყენეს რაიონული გაზეთის ,,მებრძოლის'' რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ბაბულია აბულაძემ, მასწავლებელმა ირა ედიგაროვამ, ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა გოგონა ბასილაიამ, ჟურნალისტმა შალვა შენგელმა და სხვებმა.

რედაქციის კოლექტივი ესტუმრა ენგურის ქაღალდის კომბინატის მუშებს გაიმართა საუბარი ჟურნალის მუშაობის გარშემო, სიტყვაში გამოვიდნენ მოწინავე მუშები, პირველი მექაღალდე ეთერ ქციტიშვილი, ჟურნალისტი კლარა ფაჩუაშვილი და სხვები.

ც. ქ ი რ ი ა: დიდი მადლობა რედაქციის კოლექტივს კულტურის დარგის მუშაკებისაგან. თითქმის ყველა ნომერში ვკითხულობთ ჩვენთვის საინტერესო მასალებს.

ბ. ა ბ უ ლ ა ძ ე: ჟურნალი ,,საქართველოს ქალი'' ქალივით სათუთი, სათნო და მომხიბლავია, დაე, ყოველთვის ასეთი ყოფილიყოს იგი!

ი. ე დ ი გ ა რ ო ვ ა: ჩვენი სურვილია ჟურნალის ფურცლებზე კიდევ უფრო მეტად ჩანდნენ ჩვენი ქალაქის მოწინავე ქალები, კერძოდ პედაგოგები, რომლებსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე აბარიათ — აღუზარდონ ჩვენს ქვეყანას სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალი თაობა.

გ. ბ ა ს ი ლ ა ი ა: ჟურნალ ,,საქართველოს ქალში'' საკმაო ადგილი ეთმობა მედიცინის აქტუალურ საკითხებს. ქალაქ ზუგდიდის ექიმთა კოლექტივის სახელით გთხოვთ უფრო სისტემატურად დაბეჭდოთ გამოცდილ ექიმთა კონსულტაციები, რაც დაეხმარება დედებს ბავშვების მოვლაში.

შ. შ ე ნ გ ე ლ ი: მიხარია, რომ ჟურნალის ფურცლებზე ჩვენს სასიქადულო ქალებს ვხედავ. სასურველია, უფრო მეტი დაიწეროს იმ მამაკაცებზე, რომლებსაც არასწორად ესმით თავიანთი როლი ოჯახში.

ე. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი: ,,საქართველოს ქალში'' ყველა ეროვნების ქალებზე იწერება, რომლებიც ცხოვრობენ და შრომობენ საქართველოში, რაც გვეხმარება ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში. სასურველია ჟურნალის ფურცლებზე უფრო ხშირად დაიბეჭდოს მასალები ხალხთა მეგობრობის თემებზე.

კ. ფ ა ჩ უ ა შ ვ ი ლ ი: ჟურნალ ,,საქართველოს ქალი'' რესპუბლიკის მშრომელ ქალთა მასებს ასწავლის პატიოსნად, კომუნისტურად ცხოვრებასა და შრომას.



ლალი ჯაფარაშვილი

## დედა

მან გაბედულად გადმოაბიჯა შენს ლამაზ ლოდინს...
ახლა, აქვე, სადღაც ახლოს დაბაჩუნობს
და გეკითხება:
— მე?
შენ ფაცაფუცით კინძავ ლოდინის გაფანტულ მძივებს
და ემუქრები ციცქნა არსებას,
ის კი გიჩვენებს პატარა კიჭებს
და დაჟინებით თავის წილს ითხოვს:
— მე?
შენ აღარ გახსოვს სად შეინახე ლოდინის მძივი,
უნდა შეფუთო, დააპურო შენი სტუმარი,
რადგანაც ცრემლი გაერია მის სიჯიუტეს
და ამას გარდა
ენაზე ადგას ორმარცვლიანი, კეთილი სიტყვა,
მაგრამ ჯერ ეჭვობს და გელოდება,
რომ აჩუქო
სინამდვილის ღუნღულა ჩაჩი...
უნდა მოქსოვო,
მიაქარგო თეთრი ჩიტები,
ასეთი ჩაჩი არ ექნება ქვეყნად არავის,
რადგანაც მასში ჩააყოლებ ლოდინის მძივებს...
ის იქნება ვარდისფერი, ანდა ცისფერი
და სიმღერა ეცოდინება
წკრიალა და აჩემებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზოგადოების სამსჯავროზე

# უიღბლობა თუ?

იყო ერთი ოჯახი. ოჯახი ბედნიერი და უზრუნველი. მდიდარი ყოველი სიკეთითა და ნათესავ-მეგობრებით. როგორც იტყვიან, „ჩიტის რძეც“ რომ არ აკლდა.

მოგეხსენებათ: „თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო“ და, მართლაც, ყველას ამ სტუმართმოყვარე ჭერქვეშ მოუხაროდა. ოჯახის უფროსს „კაი ბიჭს“ ეძახდნენ, მის მეუღლეს — „ულამაზესსა და უკეთილშობილესს“. ბავშვებს „ვუნდერკინდებად“ ნათლავდნენ.

და იყო მისვლა-მოსვლა, უხვი სუფრა და კიდევ მეტად უხვი სიტყვაკაზმულობა, მოლხენა და სადღეგრძელოები: სამშობლოსი და წინაპრებისა, მშობლების და მომავალი თაობისა, სიყვარულის და მეგობრობისა.

მაგრამ, უეცრად, ცამოწმენდილზე გავარდა მეხი და...

ახლა რედაქციის მაგიდაზე დევს წერილი, რომლის სტრიქონებიდან ოთხი წყვილი თვალი შემოგვცქერის — შიშჩამდგარი, ცრემლმორეული, მავედრებელი თვალები...

...„გარწმუნებთ, ჩემს მეუღლეს ყველაფერი გამოუცდელობით მოუვიდა. მიმნდობი იყო, გულუბრყვილო, კეთილი, მეგობრებისათვის სულს არ დაიშურებდა... ჰოდა, შეაცდინეს, გაიმეტეს, ხელი შეაწმინდეს, სხვების ცოდვები აჰკიდეს და აგერ, 5 წელია ის პატიმრობაში იტანჯება, მე და ჩვენი სამი შვილი (მათგან უფროსი 11 წლისაა), — — აქ, უპატრონო და გაჭირვებული.

ახლა აღარც მეგობრებს ვახსოვართ, აღარც ნათესავებს, არც სპეციალობა — რაიმე გამაჩნია, აღარც ჯანი (ელდაზე გულის მანკი დამემართა). წინ კი 10 წელია, წამების კიდევ 10 წელი...

გთხოვთ, გვირჩიოთ რამე, დაგვეხმაროთ და გვიშუამდგომლოთ, რომ იქნებ ჩემს ტანჯულ ქმარს მაინც შეუმსუბუქონ სასჯელი, მეც იმედმა ძალა შემმატოს და შვილები შარაგზაზე არ დამრჩნენ. ვფიცავ, მხოლოდ ბავშვების ბედი მაწუხებს, თორემ ობლობასა და გაჭირვებაში გამოზრდილი, ჩემს უიღბლობას დიდი ხანია შევურიგდი“...

ბავშვების ბედი!

ჩვენ კი ამ ქალის ბედიც გვაწუხებს, მისი შვილების ბედიც, მსგავსი ქალების, ბავშვების, ოჯახების ბედი, რომელნიც, სამწუხაროდ, აღარც თუ იშვიათობას წარმოადგენენ.

„უიღბლობას დიდი ხანია შევურიგდი“...

მახსოვს, ასევე უიღბლობას უჩიოდა ქალი, რომელმაც თავისი სამი ქმარი საპატიმრომდე მიიყვანა. როგორც წესი, მას მხოლოდ მიჰყავდა, მიჰყავდა განუსაზღვრელი მოთხოვნებით, ცრემლით თუ ალერსით, შემდეგ კი გაჭირვებაში ჩავარდნილი ბოროტმოქმედის ცოლობას თაკილობდა და ამაყად აქცევდა ზურგს.

ჩვენ არ ვაიგივებთ ამ ორ ქალს, მათ მოქმედებას, არც მათი ვინაობის გამჟღავნება მიგვაჩნია საჭიროდ.

მხოლოდ ერთი სურვილი გვამოძრავებს, გავარკვიოთ მიზეზთა მიზეზი იმ ტრაგედიისა და, იქნებ ამით დავეხმაროთ სხვა ადამიანებს.

არ ვიცით, რამდენად ტკბილი იყო ოჯახის უფროსის ცხოვრება საკუთარ ჭერქვეშ, მაგრამ განა ჩვენს ნაცნობებში არ გვეგულება ისეთი მამაკაცი, რომელსაც დილის გათენებაც ეჯავრება და სამსახურიდან შინ მისვლაც, რადგან მისი მაღალი მორალური თვისებები — პატიოსნება და უანგარობა ცოლს დამამცირებლად მიაჩნია, ბეჩავსა და გლახაკს ეძახის და მეზობლის „კეთილი“ ცხოვრებით გაავებული, ისტერიკებით იკლებს და სიცოცხლეს უმწარებს?

...როგორც საკითხის შესწავლამ დაგვარწმუნა, იმ ოჯახის უფროსის ხელფასი მხოლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ეყოფოდა. სურვილებს კი, როგორც მოგეხსენებათ, ზღვარი ვერ დაედება. ვის არ უნდა, ჰქონდეს ლამაზად მოწყობილი ბინა, კარგი ტანსაცმელი, მანქანა, აგარაკი და სხვა სიკეთე?

საქმე მხოლოდ იმაშია, რის ფასად და რა გზით მიდიან, ზოგ შემთხვევაში, ადამიანები ამ დიდად გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რა და ვინ უბიძგებს მათ შეცდომისაკენ, რომელიც, როგორც წესი, კატასტროფით მთავრდება ხოლმე?

კაცმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა, იქნებ ჯერ უმნიშვნელოც, მაგრამ ასეა თუ ისე, ფეხი დაუცურდა, ვინ და რამ შეაჩერა? საზოგადოებრივმა აზრმა? თვალწინ ცხოვრობს მეზობელი, რომელიც ვერც ვაჟკაცობით ჯობნის, ვერც ცოდნით, ხელფასიც ნაკლები აქვს, მაგრამ, რომ იტყვიან, სდღუღს და გადადის — 100 კაცი რომ ეწვიოს, შინიდან გარეთ არ გავა... ახლა მის მაიმახ მეუღლეს არ იკითხავთ? ყველაფერი მოდური და უკეთესო მისია და თუ სამეზობლოდ შემოაღო კარი, ისეთ გამანადგურებელ მზერას მიავლ-მოავლებს, თითქოს გეუბნება: „თქვენც იტყვით, ვცხოვრობთო, რაღა!“

მაგრამ როგორია საზოგადოების იმ ნაწილის აზრი ამ წყვილის მიმართ, რომელთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ? — ქმარი „კარგი ბიჭია“, ცოლი კიდევ უკეთესი და მათთვის ღიაა „საუკეთესო ოჯახების“ კარი (ვფიქრობ, საკმაო ცდუნებაა).

მერე კი, როგორც წერილის ავტორი გვარწმუნებს, სწორედ „მეგობრებმა“ გაიმეტეს, საკუთარი ცოდვებიც მას აჰკიდეს და, ასე ვთქვათ, გზა დაულოცეს „კარგ ბიჭს“.

ჰო, სად იყო ამ დროს მეუღლე, ქმრის ჭირისა და ლხინის მოზიარე? ხომ არ შეიძლება, ცხოვრობდე ერთ ჭერქვეშ და არ იცოდე, საიდან მოდის ის ფუფუნების საგნები, რომლითაც ასე უხვად და ყოველდღიურად სარგებლობ? ხომ არ შეიძლება, არ იცოდე, რომ შენი ოჯახის ყოველდღიური ხარჯი ყოველდღიურ ოფიციალურ შემოსავალს, თუ მეტად არა, ათჯერ მაინც აღემატება?

ჩვენ ამ წერილში მოვიყვანეთ იმისი მაგალითიც, როგორ აქცია მეუღლემ ბოროტმოქმედად სამი მამაკაცი და კიდევ თავს გვაბრალებს, უიღბლობას უჩივის და ეს, ალბათ იმიტომ, რომ მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია, თვით საპატიმროდან გამოსულ ყოფილ ქმრებსაც კი.

ამგვარად, ამ ორი ოჯახის მაგალითზე, მოვლენების მსვლელობას თუ მივყვებით, იქნებ დავინახავდით რომ იმ ამბებში, რაც ჩვენ ჭერქვეშ ხდება, არც ჩვენა ვართ უდანაშაულონი და ქართველი ქალის ოდითგანვე განთქმული სიმტკიცე, რის გამოც ბრძენ ხალხს სახლის ჭერის გასამაგრებლად შედგმული ბოძისათვის „დედა-ბოძი“ შეურქმევია; კეთილგონიერება, რისთვისაც ლეგენდებს საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრად მიუჩნევია, სიწმინდე, რომელიც სატრფოსი თუ ცოლის მანდილის სახით თან მიჰქონდა ბრძოლად გასულ ვაჟკაცს, რადგან სჯეროდა მისი სასწაულმოქმედი მფარველი ძალისა, — დაგვეხმარებოდა თავიდან აგვეცილებინა სირცხვილისა და შიშის ელდა, არაერთი ოჯახის ნგრევა, უმამოდ მიტოვებული შვილების მწარე ხვედრი — ერთი სიტყვით, მძიმე ტრაგედია, რომელსაც ზოგჯერ, იქნებ გულუბრყვილობითაც, „უიღბლობას“ ვაბრალებთ ხოლმე.

**მარიკა ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალებს ერთი წელი შეემატათ

ჩანახატები

* * *

სოფელ მელვრეკისში ტირიფონიდან დაქანებულ ჩახრიალას თუ ჩაჰყვებით, განმარტოებით მდგარ ქვითკირის სახლს ნახავთ. სახლის წინ ეზო-კარი ისეა მხრებგაშლილი, რომ შიგ ცხენი გაჭენდება, გზის ჩაყოლებაზე ცაცხვები დგანან, ტოტებჩასახეპილნი და ჩაკოჟრებულნი, მრავალი ჭირვარამისა თუ სიხარულის ფუტყვი მოწმენი.

ეზოში დედლები კრიახობენ, იხვები დაბაჯბაჯებენ. თეთრი ზოლით შუბლგაპობილი ბოჩოლა ნამიანი ბალახით დრუნჩს იგრილებს.

სახლთან ახლო მოხუცებული ჩაცუცქულა და წალდით ფიჩხს აწაკუწებს. ეს დარო ბაბოა, ედიშერაანთ ქვრივი, რომელსაც ზოგიერთები ხუმრობით ოთარაანთ ქვრივსაც ეძახიან.

დარო ბაბოს გახუნებული შავი კაბა აცვია. წელზე კი დღენიადაგ წინსაფარი აქვს შემოკრული. თავშალი შუბლსა და ნიკაპს უფარავს, მზით დამწვარი ლოყები და მოღლილი, უფსკრულში ჩაკარგული თვალებიღა მოუჩანს.

დარო ბაბო ოთხმოცი წლისაა, მუშაობას კი მაინც ვერ ელევა. დაჯდება მზის გულზე, მოიდგამს სიმინდს ან ლობიოს, კალთას ჩაიღრმავებს და არჩევს. თან გრძელ ხალას მოიმარჯვებს და გაფენილ ხორბალზე შესეულ წვრილფეხობას უტატანებს:

— ჰაი, ჰაი, თქვე გასაწყვეტლებო!..

იყო დრო, როცა ჩახრიალას პირას ჩარიგებული ჯმუხი ცაცხვების სიოს დაბერვაზე მშვილდივით იზნიქებოდნენ. მაშინ დარო ბაბოს მხოლოდ დარო ერქვა, ჩიტივით დაფრინავდა ამ არე-მარეზე, აცხობდა, არჩევდა, გვიდა, თოხნიდა, რწყავდა... ორი ვაშლის ბაღი ჰქონდა, ერთი შავმიწაზე, ერთიც ჭალაში. სახლის წინ ბოსტანი და სასიმინდე ნაკვეთი იყო. დარო ყველაფერს ყოჩაღად უვლიდა და კოლმეურნეობაშიც მუშაობდა.

— დაროს ისეთი ხელი აქვს, ქვაზეც კი პურს მოიყვანსო, — ამბობდნენ მელვრეკელები.

დარო განსაკუთრებული სიყვარულით ზრდიდა თავის პატარებს. ქმრის სიკვდილის შემდეგ კოლა, დათო და მარო დარჩენოდა ნუგეშად.

„დაიზრდებიან და მომეშველებიან, ორი ვაჟკაცი ხუმრობა არ გეგონოთ ოჯახშიო“, — ფიქრობდა იგი.

კოლმეურნეობაში დარო პირველი ჩაეწერა.

„აგრე ჯობია, ყველანი ერთად რომ ვიმუშავებთ, ბარაქაც მეტი დაგროვდება სოფელში. მარტო ვეღარას გავხდით“.

მართლაც ძირფესვიანად გადასხვაფერდა მელვრეკელთა ცხოვრება. ტრაქტორს ელირსნენ, კოლექტიური შრომის ფერხულში ჩაება სოფელი. დარომაც ამრავლა ბარაქა ოჯახში. შვილები წამოიზარდნენ, დედას მხარში ამოუდგნენ.

მაგრამ ან დარო, ან მელვრეკელები რას იფიქრებდნენ, რომ მტერი ჩვენს ქვეყანას თავს დაესხმოდა და ომის ხანძარი გაჩაღდებოდა.

დარომ ორი ვაჟკაცი გააცილა ფრონტზე და ქმრის სიკვდილის მერე პირველად აუციმციმდა თვალში ცრემლი.

დარჩა დარო ერთი ქალიშვილის ამარა. რუ კი ისევ ჩხრიალით მოხტუნაობდა ორღობის გასწვრივ, ისევ შრიალებდნენ ცაცხვები.

„ჩამოვლენ... ისე როგორ მოვკვდები, რომ არ გამოჩნდნენ საითმე“... ფიქრობდა დარო.

ოთხმოცს გადააბიჯა ედიშერაანთ ქვრივმა. კბილის ტკივილი არ გამოუცდია, კბილი რომ დაცვივდეს ადამიანს, ესეც ვერ წარმოედგინა ამ ბოლო დრომდე...

მხოლოდ იქ გულის სიღრმეში რაღაც აწუხებს და სწიწკნის... ვაი თუ ისე მოკვდეს, რომ...

„არა, ჩამოვლენ, უსათუოდ ჩამოვლენ“... — დაასკვნის ბოლოს, და ძველებური ხალისით დაუტატანებს ხორბალზე შესეულ ქათმებს:

— ჰაი, ჰაი, ჰაი!.. თქვენი გაწყვეტა კი იყოს, აჰა!

* * *

სოფელ ნოსტეში, საჰკაძისეულ კოშკთან 74 წლის ნატო ხიზამბარელის სახლი დგას.

უბანში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ნატოს ვინც დაინახავს, აუცილებლად გაიფიქრებს, ამდენი სიმხნევე საიდან შემორჩენია მოხუცსო.

ნატო კი, როგორც იტყვიან, თავს ჭარმაგად გრძნობს და კვლავ ახალგაზრდული ხალისით მუშაობს გიორგი საჰკაძის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის დაარსებასა და განმტკიცებაში თვითონ მას დიდი ამაგი მიუძღვის.

— ნოსტელ მაიას სიცოცხლე! — ღიმილით დაუძახებენ ნატოს თანასოფლელები. ნატო ასეთ ხუმრობაზე იღიმება, მაგრამ გულის სიღრმეში მცირე ტკივილსაც გრძნობს: ახსენდება თავისი ახალგაზრდობა, როცა მართლაც მაია წყნეთელივით ცხენზე შემართული დაქროდა სოფელში და უსწორდებოდა კოლმეურნეობის დოვლათის დამტაცებლებსა და მუქთახორებს.

როცა ორასზე მეტი ვაჟკაცი გაუყვა ფრონტის გზას და შინ მარტო მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ, სწორედ მაშინ დასჭირდა სოფელს კარგი თავკაცი, რომ კოლმეურნეობა უკან არ წასულიყო.

საერთო კრებაზე ბევრი ითათბირეს, იდავეს, იმარჩიელეს, და ბოლოს თავმჯდომარედ ნატო ხიზამბარელი დაასახელეს.

ყველამ დაუჭირა მხარი ნატოს.

— ყოჩაღია, შეძლებს!

— ავ-კარგის გარჩევა იცის, საქმეს გაუძღვება.

ომის დროს კოლმეურნეობის გაძღოლა იოლი საქმე არ იყო. ფრონტზე წასულ ძმებს, ქმრებსა და შვილებს არ უნდა გამოლეოდათ საჭმელი, ჩასაცმელი. საჭირო იყო დღედაღამ მკლავმოუღლელი მუშაობა, ოფლის ღვრა.

ნატო სხვებთან ერთად მუშაობდა ყანაში, რა მძიმე სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო, ვაჟკაცურად უმკლავდებოდა.

ერთხელ ყური მოჰკრა, ნაძირალები დაძრწიან ღამღამობით ბაღ-ვენახებსა და ყანებში, სიმინდსა და ხილ-ბოსტნეულს იპარავენო.

შეიარაღდა ნატო. ღამეში ორჯერ მაინც შემოივლიდა ცხენით ყანებს და მინდვრებს, რომ სახალხო დოვლათი გარეწრებისათვის არ დაენებებინა.

სამჯერ წააწყდა ნატო ქურდებს. სამჯერვე ძლივს გაასწრეს ხელცარიელებმა. ასტეხდა სროლას, დაედევნებოდა ცხენით, სოფლელებიც წამოეშველებოდნენ და ქურდებს სულ კუდით ქვას ასროლიებდნენ. ერთხელ დაიჭირეს კიდეც სამნი და კასპის მილიციას მიჰგვარეს.

ომი დამთავრდა. მას მერე კიდევ დიდხანს თავკაცობდა ნატო ნოსტელებს, შემდეგ სარბიელი ახალგაზრდებს დაუთმო.

დადის, დაფუსფუსებს კარ-მიდამოში ჯანმაგარი ნატო ხიზამბარელი — ნოსტელი მაია, კომუნისტი 1941 წლიდან.

უ. ზარეკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წაწალი



ხინკალი



ზამთარი

11308

პ კილასონიას პორტრეტი







ტვისტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფიქრია

შენ და იები



სევდიანი სიყვარული



ალაგე



# ახალი ბაზარი

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში გაიხსნა ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზარი. სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. თანამედროვე შენობამ, ფართო, ლითონის ჩარჩოებში ჩასმულმა მოძრავმა ფანჯრებმა, სივრცის, სინათლისა და სისუფთავის შეგრძნებამ მოხიბლა თბილისელები.

ბაზარი ყოველთვის გამოხატავდა ხალხის მატერიალურ და კულტურულ დონეს. გავიხსენოთ სახელგანთქმული „პარიზის სტომაქი", რომელიც ბევრი კლასიკოსის ნაწარმოებში აისახა. თავისი კოლორიტით, თავის სურნელებით ოდითგანვე გამოირჩეოდა ქართული ბაზარიც, რომელიც ყოველთვის აოცებდა სხვა ქვეყნიდან ჩამოსულთ.

მაგრამ დრომ თავისი მოიტანა. საჭირო გახდა ძველებური დახლებისა და ფარდულების აღება. ასე დაინგრა ძველი „დეზერტირკაც". თბილისის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სხვა ბაზრებს მიეკედლა.

ახალი ბაზრის მშენებლობა თბილმრეწვმშენის კოლექტივმა იკისრა. თბილისელების თვალწინ თანდათან წამოიმართა უზარმაზარი ნაგებობა.

„საკოლმეურნეო ბაზარი" — გვაუწყებს მაღალ, ფართო კედელზე გამოყვანილი წარწერა. წარწერის ქვეშ კი განუწყვეტელი მოძრაობა. მიდი-მოდიან სურსათ-სანოვაგით სავსე სატვირთო მანქანები. ბაზართან შექმნილია ასი ტონის ტევადობის სამაცივრო მეურნეობა. პროდუქტს ჯერ მაცივრებში ინახავენ, შემდეგ კი პატარა, ლამაზი მანქანებით დახლთან მიაქვთ.

ეს ორსართულიანი შენობა 1.500 სავაჭრო ადგილისათვისაა გათვალისწინებული, ბაზარი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. დახურულ დარბაზში მოთავსებულია რძის ნაწარმის, ხორცისა და კვერცხის განყოფილებები. ბაზრის ღია ნაწილიც გადახურულია მსუბუქი პლასტიკატით, რომელიც დაიცავს გამყიდველსაც და მყიდველსაც ავდრისა თუ სიცხისაგან. ყოველ განყოფილებაში არის წყლის ონკანი და ნაგვის ურნა. დახლები თეთრი მარმარილოთია დაფარული.

ბაზართან არის მაღაზიები, საჩაიე, სასადილო, სასტუმრო, დედათა და ბავშვთა ოთახი, სამედიცინო პუნქტი. ყველაფერი გაუთვალისწინებიათ არქიტექტორებსა და მშენებლებს მისი კეთილმოწყობისათვის.





# გოგიტას ბაღი

დედა გოგიტას მთელი ზაფხული ამზადებდა ბაღში წასაყვანად. ყველაფერი ახალი უყიდა: ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც და რამდენიმე თეთრი წინსაფარიც შეუკერა.

გოგიტა ყველაფერს შორიდან გადახედავდა ხოლმე. დაუდგომელსა და მოუსვენარ ბიჭუნას უსაქმოდ ვერ ნახავდით: ხან „საბარგო მანქანით" ტვირთი „მიჰქონდა" კახეთისაკენ, ხან პატარა მატარებლით ცემისაკენ მგზავრებს „მიაქროლებდა", ხან კი აივანზე ბაღს „აშენებდა". კომშის ხმელი ტოტები, ყურძნის ჩხებისა და აკიდოების ნარჩენები და თვით ნაძვის ხეც კი იყო მის ბაღში.

ბოლოს დედამ გოგიტას გამოუცხადა:

— ხვალ ბაღში უნდა წაგიყვანო. ამიტომ დღეს პარიკმახერთან წავიდეთ, რომ ქოჩორი ლამაზად გაგიკეთოსო, — გოგიტა ჯერ უარზე დადგა, მერე როცა მივიდნენ, პარიკმახერმა დიდ სარკესთან დასვა, შეუსწორა ჩამოგრძელებული სწორი თმა, მერე ლამაზად შემოუკვერცხა და გადაუვარცხნა. გოგიტამ ქოჩორი სარკეში შეათვალიერა, თავზე თითები უხერხულად მოითათუნა და კმაყოფილი ჩამოხტა სკამიდან.

მოვიდა ბაღში წასვლის დღეც.

ბიჭმა კიბეები სულმოუთქმელად ჩაირბინა.

— გოგიტა, უჩემოდ ქუჩაში არ გახვიდე! — მიაყოლა დედამ.

გოგიტა დედას შემოუბრუნდა, ხელი ჩაჰკიდა და მოულოდნელად ჰკითხა:

— დედა, ტრამვაი ხომ მუდამ ერთ ხაზზე დადის, თუ მე არ მივედი, ის ჩემთან ვერ მოვა, არა?

— ჰო, შვილო! მაგრამ ჩვენ ახლა არც ტრამვაი გვჭირდება, არც ტროლეიბუსი, პირდაპირ ფეხით წავალთ და ჩქარა მივალთ.

გოგიტამ დედას ხელი გაუშვა და ტროტუარზე ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

— გოგიტა! — გასძახა დედამ.

გოგიტა შემოტრიალდა.

— დედიკო, შენ ხომ მითხარი, მანქანა ტროტუარზე არ ამოხტებაო.

— გითხარი, მაგრამ აი, უკვე მივედით ბაღში.

— რა ახლო ყოფილა! — გაშალა პატარა ხელები გოგიტამ.

დედამ ბიჭს ხელი მოჰკიდა და ჭიშკარში შეიყვანა. ეზოში უფროსი ყმაწვილები დარბოდნენ და ჟრიამულობდნენ.

აღმზრდელს გოგიტა მოეწონა, გოგიტას — აღმზრდელი. ერთმანეთს დიდხანს ათვალიერებდნენ და ბოლოს მასწავლებელმა ჰკითხა.

— რა გქვია, ბიჭიკო?

— გოგიტა.

— გვარი?

— სეფიაშვილი.

— დედას რა ჰქვია?

— დალი.

— მამას?

— ლერი.

— მაშასადამე, გოგიტა ლერის ძე სეფიაშვილი, — გაიმეორა აღმზრდელმა და გოგიტას ხელი გადაუსვა.

— რა ყოჩაღი ბიჭია, ყველაფერი იცის. ახლა დედა კარებამდე გავაცილოთ და მე და შენ ერთად დავრჩეთ. შევთანხმდით? — აღმზრდელმა გოგიტას ხელი მოჰკიდა. გოგიტამ მასწავლებელთან ერთად დედა კარებამდე მიაცილა. ბიჭი ცოტა დაღონებული გამობრუნდა უკან. აღმზრდელი მიუხვდა გულისტკივილს და ადრე მოსული ბავშვებში თავისთან მოიხმო.

— ეს გია, ეს სოსო, ეს თამაზი, ეს თამრიკო, ეს დალი! — როცა ყველა ჩამოუთვალა, მერე მას მიუბრუნდა: — შენ გოგიტა ხარ! არა?

გოგიტამ ახლა კი გახსნა შუბლი და ორი დიდი კბილი გამოაჩინა. გადახედა ბიჭებსა და გოგონებს, გაშალა ხელები, გაჰკრა ფეხი და კრიალა იატაკზე გასრიალდა.

— გოგიტა! — შესძახა მასწავლებელმა, — მოდი ჩემთან. ჯერ მე თქვენთვის ხტუნვა-თამაშის უფლება არ მომიცია.

გოგიტა სწრაფად შემოტრიალდა, იქიდან გამოსრიალდა და აღმზრდელის წინ გაჩერდა.

— ბავშვებო, ახლა მე დაგაყენებთ სიმაღლის მიხედვით, დაიმახსოვრეთ: ვინ ვის შემდეგ იქნება.

ბავშვები აციმციმებული თვალებით შეჰყურებდნენ აღმზრდელს და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხმაზე პასუხობდნენ.

— დიახ, მასწავლებელო!

ოთახი მაღალჭერიანი, მაღალფანჯრებიანი და ნათელი იყო. ერთ კედელთან სკამები ჩაემწკრივებინათ. მასწავლებელმა ბავშვები ავარჯიშა, აცეკვა, ამღერა. მერე სკამებისაკენ გაუძღვა და პირველი თვით ჩამოჯდა, გვერდით გოგიტა მოისვა.

— ბავშვებო, აბა, დასხედით, დავისვენოთ. — ესინიც სწრაფად მისცვივდნენ პატარა სკამებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელი წამოდგა, გოგიტაც წამოაყენა და განაცხადა:

— ბავშვებო, დასვენება გვეყოფა, აბა, ისევ სიმაღლის მიხედვით მოეწყვეთ და მომყევით! — გოგო-ბიჭებიც წამოიშალნენ. მასწავლებელმა გოგიტას მოჰკიდა ხელი და სასადილო ოთახისაკენ გაუძღვა. უკვე საუზმის დრო იყო. მასწავლებელმა აქაც ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. გოგიტა კი ისევ გვერდით მოისვა. გოგიტამ ნამცხვარი აიღო თუ არა, სკამიდან წამოვარდა. მრგვალ მაგიდას გარშემო უვლიდა და ისე სჭამდა. აღმზრდელმა რამდენჯერმე გააფრთხილა, მერე კი მშვიდად უთხრა:

— გოგიტა, რაკი შენ ბავშვებთან დაჯდომა არა გსურს და ხელს უშლი, ამიტომ აი ცალკე დაგსვამ. — პატარა მაგიდასთან მიიყვანა, დასვა და თავისი ულუფა იქ მიუტანა.

— ბავშვებო, შეხედეთ, გოგიტას, თქვენთან დაჯდომის ღირსი არ არის და ცალკე დავსვი!

ზოგიერთი ბავშვი წამოდგა, გადახედა და გაიცინა.

— მასწავლებელო, თქვენ არ მითხარით, ცალკე დაჯექიო. რატომ იცინიან? — არ მოეწონა გოგიტას.

— ჩვენთან რომ ვერ მოისვენე, იმიტომ გითხრა მასწავლებელმა! — წკრიალა ხმით შესძახა დალიმ. — მოდი, ჩემთან დაჯექი, ჭამის დროს ნუ ირბენ და არც გაიცინებენ.

გოგიტა მაშინვე წამოხტა, სკამი დალისთან მიდგა და დაჯდა.

— აი, ასე უნდა. წესიერი ბავშვი ერთ ადგილზე ზის და ისე ჭამს. — ჩაერია საუბარში თამრიკო.

გოგიტამ გოგონებს ლამაზი თვალები შეანათა. ხმა აღარ ამოუღია.

ქეთევან ხაჩიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუზეპე ფანჩული

# ბაჭკანი

მზის ჩასვლისას უკაცრიელ **ველზე** ბაჭკანი მირბოდა, შიშისაგან აცახცახებული, ხანდახან შეჩერდებოდა ხოლმე და ბღაოდა... უხმობდა თავის დედას. ქარი ჰფანტავდა მის უმწეო ხმას და ველი კვლავ უკაცრიელი რჩებოდა.

ამასობაში ჩამოღამდა. ჩაბნელებული ცა და ქარისაგან დარხეული გაუფოთლავი ხეები აშინებდნენ ბაჭკანს. მან უკვე დაჰკარგა დედისა და ფარეხის პოვნის იმედი და ფიქრს მისცა თავი:

„ღამე როგორ გავათიო? აქ თუ დავრჩი, ან მგელი დამინახავს და შემჭამს, ან სიცივისაგან მოვკვდები".

ანაზდად, მის გვერდით ზეთისხილის ვეება რგო დაეშვა. ახლა კი უშფოთველად გავათევ ღამესო, გაივლო გულში ბაჭკანმა.

მაგრამ ზეთისხილმა მყისვე მიაგება:

— გამეცალე! არ შეგიფარებ.

ბაჭკანმა ახლა კარგა ღრმა ორმო იპოვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აქ, მართლაც, კარგად დავიმალები.

მაგრამ გაბმულმა ხრინწიანმა ხმამ ორმოდან ამოსძახა:

— მომწყდი თავიდან! მე ხომ მაჩვი ვარ. სამი თვე უნდა ვიძინო და შენთვის თავს არ შევიწუხებ.

აცრემლებული ბაჭკანი ერთ ბუჩქს მიადგა და გაიფიქრა: „ამ დაღრეკილ ტოტებში მაინც შევრგავ თავსო".

— ჩემო პატარავ, — უთხრა გულთბილი, მაგრამ გაბზარული ხმით ბუჩქმა, — სიამოვნებით შეგიფარებდი, მაგრამ, აბა ერთი დამხედე, რამდენი ეკალბარდი მახვევია გარს. რომ დაგკაწრო, ხომ ძალიან შეწუხდები!

— მე ხომ ხშირი მატყლი მაქვს! — დაამშვიდა ბაჭკანმა და მაშინვე ბუჩქში შევარდა. ახლა კი აღარა ჰქონდა მგლისა და სიცივის შიში.

ბუჩქი კი შფოთავდა. შიშობდა გაყინულ-გაფშეკილ ეკლებზე მატყლი არ წამომდოსო. ის ღამე წუთითაც ვერ მილულა თვალი.

სამაგიეროდ, ბაჭკანს ეძინა ტკბილად. სისხამ დილით ბუჩქიდან გამოვიდა და თბილი, მადლიერი ხმით უთხრა:

— ძალიან ღარიბი კი ხარ, მაგრამ ძალიან კეთილი ყოფილხარ, ჰოდა, გაზაფხულამდე უნდა დაგასაჩუქრო.

მართლაც, იმ დღიდან კრავივით თეთრი, პაწაწინა ყვავილებით დაიფარა ბუჩქის ნახევრად ჭდეული ეკალ-ბარდები. იმ დღიდან იმ მწირ ბუჩქსაც ახალი სახელი — კუნელი შეარქვეს.

იტალიურიდან თარგმნა **ნელი ცომაიამ**

# ჩვენი კარგი ეთერი

შარშან მენჯში ვისვენებდი. ჩასვლის პირველ დღეს აივნიდან ვათვალიერებდი სანატორიუმის ეზოს, ვაკვირდებოდი სამკურნალოდ ჩამოსულ ადამიანებს. აბაზანებთან ავადმყოფების გადასაყვანი ავტობუსიც ჩამოდგა ეზოს შემოსასვლელთან. იქიდან მკვირცხლად ჩამოხტა თეთრხალათიანი ქალიშვილი, სწრაფად მიადგა მანქანას ხის კიბე და სანატორიუმისაკენ გამოიქცა. მალე სანატორიუმის კიბეზე კვლავ მოვკარი მას თვალი, იგი მესამე ყავარჯნად შესდგომოდა ახოვან ახალგაზრდა ვაჟკაცს და ნელნელა ჩამოჰყავდა კიბეზე. მე შემეშინდა, ეს გოლიათი ვაჟკაცი რომ გადმოქცეულიყო, ნამდვილად ქალიშვილს თან დაიტანდა. როცა ვაჟკაცი ავტობუსში აიყვანა, თეთრხალათიანი კვლავ სანატორიუმისაკენ გამოიქცა. ახლა მას კიბეებზე ჩამოსასვლელად კისერზე ჩამოჰკიდებოდა ცალ მხარეს ხელ-ფეხ პარალიზებული ქალი. მიკვირდა — სად ჰქონდა ამ კაფანდარა ქალიშვილს ამდენი ძალა და ენერგია—მასზე ბევრად დიდი ტანის ადამიანებს შედგომოდა ბურჯად. იგი რამდენიმე მძიმე ავადმყოფს მიეხმარა და ავტობუსიც აბაზანებისაკენ გაემართა.



პირველ რეისს მოჰყვა მეორე, მესამე და, ასე, შუადღემდე.

მეორე დღეს, დილით, მეც ჩავჯექი იმ ავტობუსში. გუშინდელი ცქრიალა ქალიშვილი ავტობუსში დამხვდა. იგი ღიმილით ესალმებოდა დამსვენებლებს და ჯანმრთელობის ამბავს ეკითხებოდა. „ჩვენი კარგი ეთერი", — ასე ეძახდნენ ავადმყოფები მას. „ამ ქალიშვილისთანა გულისხმიერი, თბილი და კეთილი ბევრი არ გვინახავსო", — ამბობდნენ დამსვენებლები. ასე ახასიათებდნენ ავტობუსის გამცილებელს — ეთერ ადამიას, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ აქ მოვიდა და მეექვსე წელია თავისი მზრუნველობით ხელს უწყობს ავადმყოფებს გამოჯანმრთელებაში.

— შენ თვითონ ასეთი ნაზი, როგორ ახერხებ შენზე დიდი ტანის ავადმყოფებს ექცე ყავარჯნად? — ვკითხე ეთერს.

— იმიტომ, რომ ჩემს თავს წარმოვიდგენ ხოლმე მათ მდგომარეობაში და სურვილი მებადება მივეხმარო და განკურნების იმედი მივცე.

ამიტომ უყვარს ეთერი ადამია ყველას, ვისაც ერთხელ მაინც დაუსვენია მენჯის სანატორიუმ „კოლხიდაში".

**თამარ სვინტაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონ ათანასიუ-ათლასი

# მოთვინიერება

მოქმედი პირნი:
მიტიკე — ჯიუტი მარტოხელა.
კოსტიკე — კიდევ უფრო ჯიუტი მარტოხელა.
ჯორჯიკე — იმ ორზე მეტად ჯიუტი მარტოხელა.
**მოქმედება ხდება რესტორანში, ჩვენს დღეებში.**

მიტიკე — აქ დავსხდეთ, ამ მაგიდასთან?

კოსტიკე — იქ სჯობია.

მიტიკე — თუ იქ უფრო უკეთესია, ფანჯარასთან!

კოსტიკე — კაცმა რომ თქვას — ეს ყველაფერი ხომ იმას ნიშნავს: ჭამე, სადაც გინდა, რომელ მაგიდასთანაც გსურს, რომელ რესტორანშიც გნებავს, სადაც მოგეპრიანება, ხოლო, როცა ცოლიანი ხარ, განა აგრე ხდება?

მიტიკე — სწორეა. წლების მანძილზე, ერთი და იგივე მაგიდა, ერთი და იგივე საჭმელი...

კოსტიკე — და მეტადრე ერთი და იგივე ცოლი.

მიტიკე — დიახ! დიდებული საქმეა თავისუფლება...

კოსტიკე — მაშ, მაშ! მას შემდეგ, რაც ცოლს გავეყარე, თავს სხვა ადამიანად ვგრძნობ.

მიტიკე — მეც გატყობ, რომ გამოიცვალე. უფრო ტანწერწეტი გახდი...

კოსტიკე — მაგით იმის თქმა გინდა, რომ გავხდი, არა? მაშ იცოდე, რომ თავად ვისწრაფოდი ამისკენ... ეს იყო ჩემი სანუკვარი ოცნება.

მიტიკე — და ძალიანაც გიხდება. ახლა ისეთი მეოცნებე თვალები გაქვს, თითქოს ყოველთვის რაღაცით ხარ შეფიქრიანებული. და ამიტომ არც კი გემჩნევა, რომ ხალათზე ღილი გაკლია.

კოსტიკე — სად? მაღლა, საყელოსთან? მაინც არ მჭირდება, ჰალსტუხს არ ვიკეთებ.

მიტიკე — ჩინებულია! მეც უარვყავი ჰალსტუხი! უჰ! ეს ცოლების მანიაა, ყოველთვის უნდათ გაუთოებული იყო, გასუფთავებული, ერთი სიტყვით სრულ წესრიგში. მე უკვე ვთქვი: ზოგიერთი დაუდევრობა მამაკაცს უფრო საინტერესოს ხდის! სიტყვამ მოიტანა და საცვლებს ვინ გირეცხავს?

კოსტიკე — მრეცხავი ვეტა.

მიტიკე — სარეცხში ქლორს არ ყრის?

კოსტიკე — რას?

მიტიკე — ქლორს!

კოსტიკე — მე რა, ჭვრეტას ხომ არ დავუწყებ, როგორ რეცხავს?

მიტიკე — ურიგო არ იქნებოდა, თვალყური გედევნებინა. მრეცხავმა ექვსი ხალათი გამიფუჭა.

კოსტიკე — ექვსი ხალათი? რას ამბობ? თუმცა, ჯანი გავარდეს, ექვსი ხალათი რა დიდი რამეა! სამრეცხაოებში თუ ყრიან ქლორს?

მიტიკე — აბა რა ვიცი.

კოსტიკე — ჰო, მართლა, სამრეცხაოებზე გამახსენდა — მოდი, სხვა მაგიდასთან გადავსხდეთ.

მიტიკე — იქნებ უფრო ღია ფერის სუფრა მოვნახოთ, ესე იგი, მინდოდა მეთქვა — უფრო სუფთა. იცი, შინ მივეჩვიე, აი როგორ გითხრა...

კოსტიკე — ჰე! მომტანიც თვალით არ გვენახვება. ლოდინი, აი რა მაღიზიანებს რესტორანში. შინ მიდიხარ — სუფრა გაშლილია, ყველაფერი მზადაა...

მიტიკე — მომტანო!

მიმტანი — მოვდივარ (და, რასაკვირველია, არ მოდის).

კოსტიკე — აი ჯორჯიკეც!

მიტიკე — აქ რად სადილობს?

კოსტიკე — როგორ, არ იცი განა?

მიტიკე — რა უნდა ვიცოდე?

კოსტიკე — თავისუფალია!

მიტიკე — ეგეც? როდიდან?

კოსტიკე — ო, უკვე ორი თვეა! ეგ ყველაზე მოურჯულებელი მარტოხელაა.

მიტიკე — ყოჩაღ!

კოსტიკე — რატომ, ყოჩაღ?

მიტიკე — როგორ თუ რატომ? ასეთი ცოლი რომ დატოვო: ლამაზი, მორჩილი, შრომისმოყვარე, გონიერი...

კოსტიკე — განა შენი ცოლი არ იყო ლამაზი, მორჩილი, შრომისმოყვარე, გონიერი?.

მიტიკე — შენგან განსჯა სწორედაც არ მეკუთვნის, რადგან შენი ცოლი იშვიათი ქალი იყო. მე ხომ მას ბავშვობიდან ვიცნობ, ერთად ვიზრდებოდით. მართალია, ცოტა ფხუკიანია და თვალებიც თითქოს გამოხუნებული აქვს...

კოსტიკე — ფხუკიანი სულაც არ არის! პირიქით, ძალიანაც კეთილია და არც თვალები აქვს გამოხუნებული, არამედ კამკამა ზღვისფერი, ცასავით უძირო...

მიტიკე — პოეტი გამხდარხარ.

კოსტიკე — სწორედაც! და შენ ამაოდ ცდილობ ჩვენს შორის განხეთქილება ჩამოაგდო...

მიტიკე — მე განხეთქილების ჩამოგდებას ვცდილობ? განა ვის შორის?

კოსტიკე — ჩემსა და ჩემს ცოლს შორის, ესე იგი, ჩემსა და ჩემს ყოფილ ცოლს შორის...

მიტიკე — კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს ეგ რაღაში გაინტერესებს? შენ არ თქვი, ჩვენს შორის უკვე სამუდამოდ მორჩა ყველაფერიო. აკი გინდოდა თავისუფალი ყოფილიყავი.

კოსტიკე — თავისთავად ცხადია! მომტანო!

მიმტანი — მოვდივარ! (და კვლავ არ მოდის).

ჯორჯიკე (მიდის მაგიდასთან) — სალამი, ძმებო!

კოსტიკე — გაგიმარჯოს, ბედსვიანო! დაჯექი!

ჯორჯიკე — არ შემიძლია, სადილად მიცდიან.

მიტიკე (თვალს აპაჭუნებს) — აჰა!

კოსტიკე — შენ მგონი, ისევ მონობაში იგდებ თავს. ახლახან არ დაალწიე თავი...

ჯორჯიკე — არ მესმის, რისი თქმა გინდათ.

მიტიკე — გაჩერდი, თუ ძმა ხარ! ჩვენ ყველაფერი ვიცით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ო ს ტ ი კ ე — ერთი წუთით არ ჩამოჯდები?

ჯ ო რ ჯ ი კ ე — არა, მეჩქარება. ერთი ბოთლი ღვინის წასაღებად შემოვედი. ასეთი შემთხვევის დროს წესია...

კ ო ს ტ ი კ ე — განა რას ზეიმობ?

ჯ ო რ ჯ ი კ ე — ქორწილს.

მ ი ტ ი კ ე — უკვე?

ჯ ო რ ჯ ი კ ე — როგორ თუ უკვე? ათი წელი სრულდება.

კ ო ს ტ ი კ ე — ათი წელი, რომელი დღიდან?

ჯ ო რ ჯ ი კ ე — როგორ თუ რომელი დღიდან? ცხადია, ქორწილის დღიდან.

კ ო ს ტ ი კ ე — ქორწილის? ვისთან?

ჯ ო რ ჯ ი კ ე — გადამრევს ეს კაცი! ვისთან და ჯინასთან, ჩემს ცოლთან.

მ ი ტ ი კ ე — მაგრამ თქვენ ხომ განქორწინდით!

ჯ ო რ ჯ ი კ ე — შევრიგდით. ეს ყველაფერი სისულელე იყო. ახლა კი დაგტოვებთ, ნახვამდის! (გადის).

კ ო ს ტ ი კ ე — კარგად გვეყოლე! აბა, მიტიკე, რას იტყვი ჩვენს მეგობარზე? ძლივს მოახერხა თავისუფლებისათვის მიეღწია და... რაც ამ კაცს ვიცნობ, სულ ასეთი ქარაფშუტაა.

მ ი ტ ი კ ე — რას იზამ... მიმტანო!

მ ი მ ტ ა ნ ი — მოვდივარ! (არ მოდის).

მ ი ტ ი კ ე — ვფიქრობ, მეც ვიყიდო ერთი ბოთლი ღვინო.

კ ო ს ტ ი კ ე — რისთვის? შენ ხომ არავითარი წლისთავი არა გაქვს.

მ ი ტ ი კ ე — როგორ არა. გამახსენდა, რომ დღეს ოცდარვა წელი უსრულდება...

კ ო ს ტ ი კ ე — ვის?

მიტიკე — ლენუცას, ჩემს ყოფილ ცოლს.

კ ო ს ტ ი კ ე — ხომ არ აპირებ...

მ ი ტ ი კ ე — რატომაც არა? ჩვენ ხომ არ წავჩხუბებულვართ. ბოლოს და ბოლოს კულტურული ხალხი ვართ...

კ ო ს ტ ი კ ე — წარმოუდგენელი ქარაფშუტა ხარ. მიმტანო! ბოლოს და ბოლოს, რა იქნა?

მ ი მ ტ ა ნ ი (აღარ ამბობს „მოვალო", რადგან ნამდვილად მოვიდა) — რას ინებებთ?

კ ო ს ტ ი კ ე (განერვიულებული) — შემიხვიეთ ერთი ბოთლი ღვინო!

მ ი ტ ი კ ე — ჩემთვის?

კ ო ს ტ ი კ ე— არა, ჩემთვის.

მ ი მ ტ ა ნ ი — თან მიგაქვს?

კ ო ს ტ ი კ ე — რა გიკვირს? გამახსენდა, რომ ხვალ შაბათია.

მ ი ტ ი კ ე — მერე რა, რომ შაბათია?

კ ო ს ტ ი კ ე — შაბათობით სამსახურიდან ადრე მივდივარ და თანაც შაბათ დღეს გავიცანი.

მ ი ტ ი კ ე — ვინ?

კ ო ს ტ ი კ ე — მია.

მ ი ტ ი კ ე — რომელი მია?

კ ო ს ტ ი კ ე — მია, ჩემი ცოლი!

ფარდა ეცემა. ორი ჯიუტი მარტოხელას პრინციპებთან ერთად.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ჩვენი სახალხო კლუბი

პედიატრის რჩევა

# რა უნდა ვიცოდეთ ინფექციურ სნეულებათა შესახებ

ბავშვთა ინფექციური სნეულებები: დიფთერია, წითელა, ყივანა-ხველა ჰაერის საშუალებით — წვეთოვანი გზით ვრცელდება. დაავადების გავრცელების წყაროა დაავადებული ადამიანი, რომელიც ხველების, ცხვირის ცემინებისა და ლაპარაკის დროს, ნერწყვთან ერთად, ჰაერში მიმოფანტავს ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს. ისინი ჩასუნთქვის დროს მოხვდებიან ბავშვის ცხვირ-ხახის ლორწოვანზე და იწვევენ დაავადებას; გარდა ამისა, დაავადება შეიძლება გავრცელდეს იმ საგნებითაც (ქურჭელი, ტანსაცმელი, სათამაშოები და სხვა), რომლებსაც ავადმყოფი ხმარობს.

ბავშვთა წვეთოვანი ინფექციები უმთავრესად საშიშია თავისი გართულებებით და ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფთა ნაადრევ გამოვლინებას, მკურნალობასა და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად დაწყებას.

სულ რამდენიმე წლის წინათ დ ი ფ თ ე რ ი ა ბავშვთა ყველაზე საშიშ და ვერაგ დაავადებად ითვლებოდა. ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ბავშვი ავადდებოდა და ზოგჯერ დაავადება სიკვდილით მთავრდებოდა. დღეს ეს დაავადება ათეულ შემთხვევებამდეა დაყვანილი. დიფთერიაზე სრული გამარჯვება ჩვენი მეცნიერების დაუღალავი ძიებისა და პრაქტიკოსი ექიმების მიერ პროფილაქტიკური აცრების მასობრივად და ხარისხიანად ჩატარების შედეგია. ჩვენი დღევანდელი ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ მიღწეული წარმატებები, არც ერთი ბავშვი (თუკი აცრა მისთვის უკუნაჩვენები არაა) არ დაგვრჩეს დიფთერიის საწინააღმდეგო აცრის გარეშე.

ყ ი ვ ა ნ ა ხ ვ ე ლ ა ც ბავშვთა ასაკის არანაკლებ საშიშ დაავადებად ითვლებოდა, მაგრამ ამ დაავადების საწინააღმდეგო აცრების შემოღების შემდეგ იგი ყოველწლიურად მცირდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ სნეულებით ზოგჯერ ბავშვები სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე ავადდებიან (ე. ი. იმ ასაკამდე, სანამ აცრა ჩაუტარდებათ).

ბავშვთა წვეთოვანი ინფექციებიდან დღემდე კიდევ დარჩა ერთი ინფექციური დაავადება — წ ი თ ე ლ ა, რომელზეც გამარჯვების აუცილებლობა გადაუდებელ ამოცანად ითვლება.

მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია მცდარი შეხედულება, თითქოს წითელას მოხდა სავალდებულოა. წითელა საშიში დაავადებაა განსაკუთრებით მცირე ასაკისა და ფიზიკურად სუსტი ბავშვებისათვის. ზოგჯერ წითელა სხვადასხვა დაავადებებით რთულდება და საშიშროება სწორედ მის გართულებებში მდგომარეობს.

უკანასკნელ წლებამდე წითელას იმუნიტეტის ერთადერთ საშუალებად გამაგლობულინოპროფილაქტიკა ანუ ე. წ. პასიური იმუნიზაცია ითვლებოდა, რაც ბავშვს მხოლოდ 3-4 კვირას იცავდა დაავადებისაგან; თუ ამ ხნის განმავლობაში ბავშვი წითელას მსუბუქი, ე. წ. მიტიზირებული ფორმით არ დაავადდებოდა, მისი ორგანიზმი ისეთივე მიმღები რჩებოდა ამ დაავადებისადმი, როგორც გამაგლობულინის გაკეთებამდე იყო. გამაგლობულინოპროფილაქტიკამ ათასობით ბავშვს შეუმსუბუქა დაავადების მიმდინარეობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მისი მოქმედების ხანმოკლე ეფექტურობას, აგრეთვე იმას, რომ ყოველთვის არ ხერხდება, წითელამოუხდელი ბავშვის ავადმყოფთან კონტაქტის დადგენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადი გახდება, რა დიდი ნაკლოვანება გააჩნია ამ ღონისძიებას.

ამგვარად, წითელას საწინააღმდეგოდ რჩება ერთი გზა, ეს არის აქტიური იმუნიზაცია — აცრა (როდესაც ბავშვის ორგანიზმი თვითონ გამოიმუშავებს წითელას ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებს).

წითელას საწინააღმდეგო აცრების ჩატარება 1958 წლიდან დაიწყო და დღემდე იგი გაუკეთდა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების 30 მილიონზე მეტ ბავშვს. შედეგი სავსებით მისაღებია: აცრილი ბავშვები დაავადებულთან კონტაქტისას არ ავადდებიან. აცრის შემდეგ ბავშვის ორგანიზმში გამომუშავდება ისეთივე მყარი იმუნიტეტი, როგორიც ჩვეულებრივი წითელას გადატანისას.

ტ ე ტ ა ნ უ ს ი წვეთოვანი ინფექციების ჯგუფს არ მიეკუთვნება, იგი უმთავრესად ჭრილობის გართულებაა, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება და მისი ლიკვიდაცია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

უკანასკნელ წლებამდე რეკომენდებული იყო სხეულის გაკაწვრის ან ჭრილობის მიღების შემთხვევაში ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატის გაკეთება (ტეტანუსის საწინააღმდეგო პასიური იმუნიზაცია), მაგრამ ვინაიდან ამ შრატის წყალობით გამომუშავებული იმუნიტეტი სწრაფად ქრება, ხოლო შრატის დაგვიანებით გაკეთებაც ავადმყოფისათვის საბედისწეროა და მისი, როგორც უცხო ცილის, მრავალჯერადი შეყვანა უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე, ამჟამად ბავშვებს უტარებენ ამ დაავადების საწინააღმდეგო აქტიურ იმუნიზაციას.

ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა ტარდება დიფთერიისა და ყივანახველის აცრასთან ერთად ე. წ. დიფთერია — ყივანახველა — ტეტანუსის კომბინირებული პრეპარატით. აცრის შედეგად ორგანიზმში ერთდროულად იქმნება სამივე დაავადების საწინააღმდეგო იმუნიტეტი.

დღეს, როდესაც ინფექციურ დაავადებათა მკურნალობაში დიდი მიღწევები გვაქვს, პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობა ოდნავადაც არ მცირდება, ვინაიდან ყველაზე ეფექტურ მკურნალობასაც არ შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ამ დაავადებისაგან დამცველ საშუალებას — პროფილაქტიკურ აცრებს.

თანამედროვე მედიცინის არნახული განვითარების წყალობით, შორს არ არის ის დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ლაპარაკი ამ ინფექციურ დაავადებათა საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ რა დიდიც არ უნდა იყოს სამედიცინო მეცნიერების მიღწევები, იგი საკმარისი არ იქნება, თუ ყველა მშობელი შეგნებულად არ მიუდგება დამცველი ღონისძიებების კომპლექსურად გატარებას.

**ნინო ლეჟავა,**
**თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის ეპიდსაწინააღმდეგო განყოფილების გამგე.**




ცოდვა გამხელილი ჯობს: დღესაც კი ბევრ მშობელს ბავშვის აღზრდა ცემის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

ერთი ტექნიკუმის პირველკურსელებს ასეთი შეკითხვა მივეცი: „გსჯიდნენ თუ არა მშობლები?“ მათ ცოცხლად ახსოვთ ბავშვობის დღეები, მაგრამ უკვე უყალიბდებათ ასაკსრული ადამიანის ანალიტიკური აზროვნება. ასე რომ, იმედი მქონდა, მათი პასუხი გულწრფელი იქნებოდა.

ჰოდა, ახლა ხელთა მაქვს წერილების დასტა. 62 ადამიანი მპასუხობს: დიალ, ჩვენ გვცემდნენ!

„მამა ქამარს იხსნის და ჩემსკენ მოემართება, — წერს დათო შ. — ჰო, არც ისე სასიამოვნოა, იდგე და უცდიდე, როდის მოხვდება შენს სხეულს გველივით მოქნილი ღვედი. მინდა, გავიქცე, მაგრამ მამაჩემის ღონიერი ხელი უკვე ქეჩოში წამწვდა. რაღაც მხურვალება შემომენთო ზურგზე და კიდევ დაბლა. ბოღმა და ტკივილი სულს მიგუბებს, მაგრამ რა შემიძლია?...“

ჩემს ხელთაა 62 ამდაგვარი პასუხი. 62 დოკუმენტი მიმტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ადრეა არქივს ჩაბარდეს პედაგოგიკის ეს, ლამის ჰამლეტისეული შეკითხვა: — ცემა-არცემა?

ჰო, პედაგოგებსაც ექავებათ ზოგჯერ ხელი — მოწაფეებშიც გამოერევა ზოგი ისეთი, რომ არაფერი მასზე არა ჭრის — არც შეგონება, არც წახალისება, არც მუქარა. მაგრამ პედაგოგები პროფესიულად არიან მიჩვეული თავშეკავებას. მათ უმეტეს ნაწილს საერთოდ არ მოუვა აზრად — ვცემო ბავშვი თუ არაო, — იმდენადა აქვს შესისხლხორცებული აზრი, რომ აღსაზრდელის პიროვნება ხელშეუხებელია.

* * *

სიტყვა „პედაგოგი“ ძველ საბერძნეთში გაჩნდა; „პედ“ ჯოხს ნიშნავს. „პედაგოგი“ — ჯოხიან კაცს. ასე ხატავდნენ მაშინ პედაგოგებსაც — ჯოხით ხელში. ხელჯოხიანი კაცი ძველი საბერძნეთის პედაგოგიკის სიმბოლოდ იქცა.

თავისი სოციალური მდგომარეობით პედაგოგი მონა იყო და, როგორც ცნობილია, არც ერთ მონას არ ჰქონდა უფლება თავისუფალ ბერძენს შეხებოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, პედაგოგს ჰქონდა ეს პრივილეგია! რადგან აღზრდა ცემის გარეშე ვერ წარმოედგინათ.

რატომ აკრძალეს შემდგომში ცემა? მხოლოდ მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულის გამო? რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ ეს იყო ევოლუციის აუცილებელი ეტაპი. ჰოდა, თვით ქრისტიანული სიყვარული მოყვასისადმი, ბოლოს და ბოლოს, ამ ევოლუციით იყო ნაკარნახევი. შეიძლება ანალოგია გავატაროთ უფროსის დამნაშავეობისა და ბავშვის დანაშაულს შორის: დამნაშავეს აჯარიმებენ, აპატიმრებენ. ბავშვსაც „აჯარიმებენ“: საწუწკარს აღარ აძლევენ, „აპატიმრებენ“ — ეზოში არ უშვებენ. და, ამ შემთხვევაში, ჩვენი საქციელი არა მარტო ჰუმანურია, არამედ პრაქტიკულიც: ვცდილობთ, ცემით არ დავაზიანოთ ბავშვის ფსიქიკა, რათა ის აზროვნებისათვის შევინარჩუნოთ.

აი, ასეთ უხეშ შედარებას მოვიყვან: ტელეფონ-ავტომატის „რემონტის“ გავრცელებული მეთოდია: მაგრად ჩასცხებენ მუშტს და ამუშავდება! რა მოსდევს ამას, ყველამ ვიცით: ერთი-ორჯერ ასეთი „რემონტი“ გვიშველის, მაგრამ ამის მერე უკვე კაპიტალური რემონტიც გახდება საჭირო. და კარგი ხელოსანი ამ მეთოდს არასოდეს არ მიმართავს, რადგან იცის, როგორი სათუთი სტრუქტურისაა აპარატი. მერედა, ადამიანის ორგანიზმი განა უფრო სათუთი არაა?

აღზრდის სისტემით ჩვენ ბავშვისათვის ვამოდელებთ მისი მომავალი ცხოვრების სისტემას. ჰოდა, თუ მას ძალიან სასტიკად მოვექცევით, მერე, ჩვენი ჰუმანური საუკუნისათვის, ისიც ძალიან სასტიკი აღმოჩნდება.

ბავშვის არც ერთ დანაშაულზე არ უნდა დავხუჭოთ თვალი, მაგრამ დასჯით ბავშვი კი არ უნდა დავამციროთ, არამედ ჭკუა ვასწავლოთ.

„ერთხელ სახლში ტყვიები მოვიტანე — სათამაშო ავტომანქანაში გამიცვალეს, — წერს სერგო გ., — ტყვიებს მამამ მოჰკრა თვალი. წამართვა და მაგრად მომცხო. შემდეგ სულ იმას ვცდილობდი, რომ არც ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ხელსაყრელი შემთხვევა არ გამეშვა და ყველაფერს ტყვიებში ვცვლიდი.

ლამის მთელი საწყობი მოვაგროვე. როგორღაც ამ ჩემს გადამალულ ტყვიებს ჩემი უფროსი ძმა წააწყდა (ძმა ოცი წლის იყო), ამიხსნა, ტყვია-წამლით თამაში სახიფათოო, და მორჩა, ამის მერე ტყვიები აღარ შემიგროვებია. ჩემი აზრით, ადამიანს და, მით უმეტეს, ბავშვს, ჯობს, სიტყვით განუმარტო და არა ფიზიკურად!“

ამ სტრიქონების ავტორი ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ, უფროსებო, ყური უგდეთ მის რჩევას: „...ჯობს, სიტყვით განუმარტო და არა ფიზიკურად“, მე კი დავუმატებდი: „და საქმით!“

ბავშმა სათამაშო დაამტვრია? ცოტა ხანს ნუღარ უყიდით დაპირებულ სხვა სათამაშოს. პალტო გახია? — სასეირნოდ ნუ გაუშვებთ. წვნიანი დაღვარა — უსადილოდ დატოვეთ (ქვეყანა არ დაიქცევა).

ხუთი წლის ბავშვს უფსკრულში გადახტომა აზრადაც არ მოუვა — საამისოდ მას უკვე ძალიან მყარი რეფლექსები ჩამოუყალიბდა. ჰოდა, ზუსტად ასევე, თუ ბავშვი სწორად არის აღზრდილი, მას აზრად არ მოუვა, რომ უფროსს არ გაუგონოს. ასეთი ბავშვი დანაშაულსაც ძალიან იშვიათად ჩადის, და თუ ჩადის, უფრო — უნებლიეთ. უნებლიე დანაშაულისთვის კი ბავშვი შეიძლება არც დავსაჯოთ. მთავარია, შევაგნებინოთ, რომ ცუდად მოიქცა. გულწრფელი სინანული ყველაზე დიდი სასჯელია.

* * *

რა საბედისწეროდ ცდებიან ის მშობლები, რომლებიც სულ პატარაობიდან არ ზრუნავენ ბავშვის აღზრდაზე და იმედი აქვთ, ამას ჩვენს მაგივრად სკოლაში მასწავლებლები გააკეთებენო. თუ თქვენ ბავშვის აღზრდას მისი დაბადების პირველი დღიდანვე არ დაიწყებთ, თავად გაირთულებთ ცხოვრებას. გაივლის წლები და აღმოჩნდება: თქვენ და თქვენი შვილის მასწავლებლებს ბავშვის აღზრდა კი არა, ხელახალი აღზრდა გიხდებათ. ხელახლა აღზრდა კი ყველაზე გამოცდილ პედაგოგებსაც უჭირთ.

— იცოდე მშობელს გამოვუძახებ! — ემუქრება მასწავლებელი მოსწავლეს, ბავშვისთვის ეს ყველაზე საშიში მუქარაა: მშობელი ცემს!

ხედავთ, რა ხდება? თუ პედაგოგი მოსწავლეს ხელით შეეხო, პასუხისგებაში მისცემენ — ასე ისჯება კანონით ბავშვის ხელის შემხები. მაგრამ ეს კანონი ძირითადად მიმართულია მასწავლებლის წინააღმდეგ, მშობლის წინააღმდეგ კი — თითქმის არასოდეს. მასწავლებელმა, შეიძლება, პედაგოგობის უფლება დაკარგოს იმის გამო, რომ ბავშვს მსუბუქად დაჰკრა ხელზე სახაზავი. მშობლებს კი მშობლის უფლებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩამოართმევენ — თუ ბავშვი დაასახიჩრა. მასწავლებელს უფლება აქვს ელაპარაკოს, ჩააგონოს ბავშვს და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში — ხმა აიმაღლოს. მშობლებს კი შეუძლიათ ქამრით და ჯოხით ზურგი აუჭრელონ, თავში წაუთაქონ, გაასილაქონ.

თუ ჩვენ გვეყო საიმისო დაჟინება, რომ სასწავლებლებში აღგვეკვეთა ცემა-ტყეპა, რად დავყარეთ ფარ-ხმალი, როცა საქმე მშობლებზე მიდგა? ბავშვის ცემა მშობლებსაც უნდა აეკრძალოს, და საჭიროა ამ აკრძალვას კანონმდებლობა იცავდეს.

თუ ბავშვი მეზობელმა გალახა, მას გაასამართლებენ, თუ დედამ, მაშასადამე ზრდის! მაგრამ, იქნებ, დედა ბავშვზე თავის გულის ჯავრს იყრის?

„დედა ცუდ ხასიათზე იყო, — წერს საშა ვ., — ჰოდა, იმ დღეს რაღაც უნებლიეთ დავაშავე. ისე გამლახა, რომ მეორე დღეს სკამზე ვერ ვჯდებოდი“.

თავში ან ბეჭებში წამოთაქება, ერთი შეხედვით, უვნებელია, ბავშვს ტკივილი კი არ ატირებს, არამედ წყენა. ეზოში თამაშის დროს მისთვის რომ ასე წამოერტყათ, არც იტირებდა. მაგრამ ეს წამორტყმა ხომ ისე მოქმედებს ბავშვზე, როგორც უფროსზე სილის გარტყმა. განა გონივრული იქნება ყველა წვრილმანისთვის ასეთ ძლიერ საშუალებას მივმართოთ?

„ჩემს თოჯინას ერთი წუთით არ ვიცილებდი, — წერს ნატას. — როცა ვსადილობდი, მაშინაც მუხლზე მეჯდა. ერთხელ უნებლიეთ ხელი დავუშვი და თოჯინა წვნიან მათლაფაში ჩამივარდა. ეს რომ დედამ დაინახა, ძალიან გაჯავრდა, რადგან სტუმრები გვყავდა. სუფრიდან ამაყენა და სილა გამაწნა.

ისე არ მეტკინა, როგორც მეწყინა. ეს წყენა დღესაცა მაქვს გულში, ვერაფრით დავივიწყე“.

ფეხსაცმელს რომ ძირი ადრე გავარდა, ამისთვის ფაბრიკის დირექტორს კი არა, ბავშვს მოხვდება.

„ერთხელ ახალი ჩექმები მიყიდეს და ერთ კვირაში დამეხა. ეს რომ მამამ დაინახა, ისე გაბრაზდა, რომ ჩექმას სტაცა ხელი და სულ თავში მირტყა“ (ვანო თ.)“.

აგერ, ეს მშობლები კი იძულებული გახდნენ შვილისთვის ბოდიში მოეხადათ — მათი ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა:

„ჩვენს ოჯახში ახალი ნივთი გაჩნდა — საკერავი მანქანა. სამი დღე ისე იდო, სანამ საკერავად მოამზადებდნენ. ჰოდა, მერე დედამ ნახა, რომ მანქანას რაღაც აუცილებელი ნაწილი აკლდა. ეჭვი ჩემზე აიღეს.

— გამოტყდი, ვის მიეცი ქანჩი?

ვიუარე, არ ამიღია-მეთქი. მერე დედაჩემი სკოლაში მოვიდა და ბავშვებს სათითაოდ გამოჰკითხა, დათოს ქანჩი ხომ არ მოუცია თქვენთვისო. მოულოდნელად ერთმა ჩემმა ამხანაგმა უთხრა, რაღაც რკინის ნაწილი კი დავუნახე ხელშიო.

შინ რომ დავბრუნდი, მამამ ლანძღვა დამიწყო და წამომარტყა კიდეც. მე ღრიალი მოვრთე.

ძალიან მეწყინა! მერე წყენამ გამიარა, მაგრამ სულ არ გამქრობია. მეორე დღეს მშობლებმა პატიება მთხოვეს. თურმე, მანქანა ასე უყიდიათ მაღაზიაში, რკინის ნივთი კი, ამხანაგმა რომ დამინახა, ველოსიპედის ნაწილი იყო (დათო კ.).“.

ცხადზე უცხადესია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მშობლები არასწორად მოიქცნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და... ბავშვი ცემას შეეჩვევა. ჯერ მშობლებს აღარ გაუგონებს უქამროდ, მერე კი კანონს არ დაემორჩილება უციხოდ.

ესეც რომ არ იყოს, ჩვენს საზოგადოებას, საზოგადოებას, რომელიც ჰუმანიზმის კანონით ცხოვრობს. თავმოყვარე ადამიანები სჭირდება. მხოლოდ იმ ადამიანისაგან შეიძლება გამოვიდეს ნამდვილი მოქალაქე, რომელსაც სიამაყის გრძნობა გააჩნია.

**ე. არზუნიანი,**
**პედაგოგი.**

## კოსმეტიკა

### როცა წასასვლელად ემზადებით

თუ წუხელ ძილი დაგაკლდათ, ან დღეს ბევრი ისაქმეთ, საღამოსთვის სარკეში ჩახედვაც აღარ გინდათ — სახე ისეთი დაღლილი და მოტეხილი გეჩვენებათ. ჰოდა, გუნება გიფუჭდებათ. არა და, დღეს თეატრში წასვლას აპირებდით. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, ეს ჩვენი რჩევა შეასრულეთ და ნახეთ, თავი როგორ მოგეწონოთ: ერთი საშუალო ზომის კარტოფილი კანიანად მოხარშეთ, გაფცქვენით, დასრისეთ, შეურიეთ შიგ ერთი სუფრის კოვზი აუდუღარი რძე, კარგად აურიეთ და თბილთბილი დაიდეთ დაბანილ და გამშრალებულ სახესა და ყელზე. მერე ზევიდან ბამბაზიის ან დოლბანდის ნაჭერი გადაიფარეთ. დაწექით ზურგზე, ფეხები შემაღლებულზე დააწყვეთ, რომ ტანზე მაღლა გქონდეთ. ასე იწექით 15 წუთის განმავლობაში. მერე ადექით, კომპრესი მოიცილეთ, შოიბანეთ სახე და კისერი ჯერ თბილი, მერე კი ცივი წყლით და შეიმშრალეთ.

### სტაფილოს ნიღაბი

სტაფილოში ბლომად არის ვიტამინი A. ეს ვიტამინი კი ნაოჭების მტერია. ამიტომ, ვისაც სურს სახეზე და კისერზე ნაოჭები ადრე არ გაუჩნდეს, სტაფილოს ნიღაბს იკეთებს.

საშუალო ზომის მკვრივი სტაფილო გარეცხეთ, სახეხზე გახეხეთ და დაიდეთ სახესა და ყელზე. ზევიდან დოლბანდი დაიფარეთ. ეს კომპრესი 15 წუთი გაიჩერეთ. მერე თბილი წყლით მოიბანეთ.

მეორე საშუალება: ორი საშუალო ზომის მკვრივი სტაფილო გარეცხეთ, გახეხეთ, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი და ერთი კვერცხის გული, კარგად აურიეთ ერთმანეთში, დაიდეთ სახესა და ყელზე, დაიტოვეთ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ სახე მოიწმინდეთ და თბილი, შემდეგ კი ცივი წყლით მოიბანეთ.

# ფხალ-ფხული

18 წლის მარგინ ჟირო ფებრუარის პირველი მსაჟი ქალია საფრანგეთში. მსაჟის ტიტულის მოსაპოვებლად მან ჩააბარა რთული გამოცდები: უპასუხა 575 კითხვას და გამოამჟღავნა კარგი ფიზიკური მონაცემები. მარგინმა მიიღო დიპლომი და მსაჟის სასტვენი. ის მატჩები, რომლებზეც ქალიშვილი მსაჯობს, დიდძალ ხალხს იზიდავს. მაყურებლებს ძალიან უყვართ ქერათმიანი მსაჟი, მარგინ ჟირო პროფესიით პარიკმახერია.

✻

სამი და ბაგანდოვები, რომლებიც ცხოვრობენ დაღესტნის მთიან აულშიკახა მახაში, ერთად 339 წლისა არიან. უფროსი 116 წლისაა, შუათანა —113-ისა, ხოლო უმცროსი —110 წლისა. დები ერთად ცხოვრობენ და ყველაფერს თვითონ აკეთებენ სახლში. უმცროსი და ახლაც კი მუშაობს ადგილობრივ პურის საცხობში, უფროსი კი უსათვალოდ კითხულობს.



✻

ამერიკელ ფსიქოლოგთა ჯგუფმა რამდენიმე წლის შრომა დახარჯა იმისათვის, რომ გამოერკვია „მამაკაცის იდეალი" ამერიკელი ქალის აზრით.

ამერიკელი ქალები პირველ ადგილზე აყენებენ მამაკაცის ფიზიკურ და სულიერ ძალას და თვლიან, რომ მამაკაცმა „კარგად უნდა იცოდეს, რა სურს", იყოს გონიერი, მაგრამ არც თუ ძალიან. ტიპიური ინტელექტუალისტები ამერიკელ ქალებს მაინცდამაინც არ მოსწონთ. ძლიერ აფასებენ მამაკაცში, აგრეთვე, გარკვეულ იდუმალებას.

რაც შეეხება მამაკაცის სილამაზესა და სიმაღლეს, ამ საკითხში ქალებს დიდი პრეტენზიები არა აქვთ. მათი „იდეალის" ასაკია 30—40 წელი.

✻

კალიფორნიელმა მეცნიერმა ლესტერ ბრესლოუმ თავის თანაშემწეებთან ერთად ჩაატარა გამოკვლევა, რამაც ცხადჰყო, რომ ერთად (ოჯახური) ცხოვრება უკეთესად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე ვიდრე გაყრილი ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ცხოვრება, რომ მოზრდილ ადამიანებს შორის ნებისმიერ ასაკში კვდება უფრო მეტი გაყრილი ქალი და კაცი, ვიდრე გათხოვილები და ცოლიანები. გაყრილ წყვილებში უფრო ხშირია, აგრეთვე, თვითმკვლელობის შემთხვევა.

✻

თავისი დაბადების დღეს 43 წლის ოსლოელმა სოლვეიგ გრანასმა პირველად დაინახა ქმარი და სამი შვილი. იგი 8 წლისა იყო, როდესაც თამაშის დროს თვალში ჯოხი მოახვედრეს. შედეგი საშინელი აღმოჩნდა: გოგონას დაეწყო მხედველობის დაკარგვა ორივე თვალში. მხოლოდ მარცხენა თვალით არჩევდა ოდნავ საგნების მოხაზულობას. დადიოდა უსინათლოთა სკოლაში. ინვალიდობის მიუხედავად, მშვენიერი ქალიშვილი დადგა, გათხოვდა, შეეძინა სამი შვილი, ოჯახში თითქმის ყველაფერს თვითონ აკეთებდა. როცა ექიმებმა დაასკვნეს, რომ მისი ავადმყოფობა განუკურნებელია. ბედს შეეგუა.

ცოლის დაბადების დღეს რაგნარ გრანასი ფაბრიკიდან ყვავილების თაიგულით დაბრუნდა. მას კარებში ცოლი შეეგება შეძახილით: „ვხედავ!"

გამოირკვა, რომ დილით, როდესაც ქმარი სამუშაოზე, ხოლო ბავშვები სკოლაში წავიდნენ, სოლვეიგმა საოჯახო საქმიანობა გააგრძელა. ერთბაშად მას მოეჩვენა, რომ იატაკზე რაღაც ჩრდილი ჩამოწვა. იქნებ რამე დავარდა? იგი დაიხარა, რომ დავარდნილი საგანი აეღო, დაკარგა წონასწორობა და მთელი ძალით მიახალა ცხვირი მაგიდას. — საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ავდექი, რომ ცივი ტილო დამედო, — თქვა შემდეგ სოლვეიგმა. — თავი მტკიოდა, საგნების მოხაზულობასაც ვეღარ ვხედავდი. შემეშინდა, საერთოდ ველარაფერს დავინახავმეთქი, ცოტა ხნის შემდეგ კი სასწაული მოხდა: სიბნელიდან გამოცურდნენ საგნები და ყველაფერი ისე ნათლად დავინახე, როგორც ბავშვობაში.

სოლვეიგს დაუბრუნდა მხედველობა. ამ შემთხვევას დიდი ინტერესით იკვლევენ ნორვეგიელი სპეციალისტები.

პოლონურიდან თარგმნა
ელვარა ხარატიშვილმა.

---

გარეკანზე — მხატვარ ლია ხვანიძის ნამუშევრები; პირველ გვერდზე — მოქარგავე ნატაშა პაპინაშვილის პორტრეტი (ზეთი), მეოთხე გვერდზე — სამეჯლისო ცეკვა (გუაში).


| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ბურზენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა. | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. გადაეცა ასაწყობად 19/XI-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XII-69 წ., ქაღალდის ზომა 60×90[1]/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 111.700. შეკვ. 3432. უე 02494. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»
Издательство ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ვარცხნილობა



არაფერი არ ამშვენებს ქალს ისე, როგორც ლამაზად დავარცხნილი თმა. და პირიქით: ყველაზე უფრო აუშნოვებს სახეს შეუფერებელი ვარცხნილობა. დიახ, ვარცხნილობას შერჩევა უნდა. ის უნდა უხდებოდეს სახის მოყვანილობას, ჩქმალავდეს არასწორ ნაკვთებს და, პირიქით, აჩენდეს რაც სახეში ლამაზია. გარდა ამისა ის მოდურიც უნდა იყოს.

ზოგიერთ ახალგაზრდა ქალს ჰგონია, რომ სწორედ ეს ბოლო პირობაა მთავარი და სურს თმა მაინცდამაინც ისე დაივარცხნოს, როგორც რომელიმე ცნობილ კინოვარსკვლავსა აქვს ჟურნალის გარეკანზე. იმას კი არ ნაღვლობს, უხდება თვითონ ის ვარცხნილობა თუ არა, ან შესძლებს მისი პარიკმახერი იმ კინოვარსკვლავის სახელგანთქმული პარიკმახერის შემოქმედების ზუსტად გადმოღებას? ესეც რომ არ იყოს, კინოვარსკვლავებს აუცილებლად ფოტოგენური სახე აქვთ, მათ ყოველგვარი ვარცხნილობა უხდებათ, რასაც, რაღა დაგიმალოთ და, ვერ ვიტყვით ქალების უმრავლესობაზე.

ამიტომ ჩვენს ქალებს, პირველ რიგში კი იმათ, ვისაც არა აქვს იდეალური პროპორციების სახე, ვთავაზობთ რამდენიმე რჩევას. აქვე ვათავსებთ ვარცხნილობის ნიმუშებს სხვადასხვა მოყვანილობის სახისთვის. ერთი შენიშვნით: იდეალურად ოვალურ სახეს ყველა მოდური ვარცხნილობა მოუხდება.

1. *მრგვალი სახე.* ასეთ სახეს უხდება მაღალი ვარცხნილობა, საქოჩრეზე აწეული თმით. ვარცხნილობის ერთგვარი ასიმეტრიულობა სახეს უფრო გამხდარს აჩენს. თმა საშუალო სიგრძის უნდა იყოს და ლოყებსა და ყურებს ფარავდეს.

2. *კვადრატული სახე.* ამ შემთხვევაში თმა ისევ საქოჩრეზეა აწეული, ასიმეტრიულობა აქ უფრო მეტია — ეს სახის ოვალს ანაზებს და უფრო დახვეწილსა ხდის. თმა ისე უნდა დალაგდეს, რომ ნაწილობრივ ფარავდეს დიდ თავის ქალას და კუნთოვან ყბებს.

3. *კუთხოვანი სახე.* ასეთ სახეს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. თმა საქოჩრეზე დატკეპნილი უნდა იყოს, საფეთქლებთან და ყურებთან — მომრგვალებული, ჩამოვარცხნილი და ბოლოებახვეული. ასეთი ვარცხნილობა სახეს უფრო ოვალურს აჩენს.



4. *მსხლისებური სახე* თავისთავად ასიმეტრიულია. მისი ქვემო ნაწილი უფრო განიერია, ლოყები — გადმოკიდული. შუბლი, სხვა ნაკვთებთან შედარებით, ვიწრო ჩანს. ამ შემთხვევაში თმა ასიმეტრულად უნდა დალაგდეს, ისე რომ ვიწრო შუბლს აფართოვებდეს და ყბებს ფარავდეს.

5. *გულის ფორმის სახე.* ამგვარ სახეს ყველაზე უფრო ეს ვარცხნილობა უხდება: თმა საქოჩრისკენ ამაღლებული, ლოყებთან კი გაბუებული და განზე გაწეული. ოპტიკურად ეს შუბლს უფრო ვიწროს აჩენს და ამრგვალებს წაწვეტებულ ნიკაპს.

პოლონური ჟურნალიდან „უროდა".

ИНДЕКС 76178

